ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 30
(11 487)
20 – 23 აპრილი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ლივერპული — ბარსელონა

## უეფას თასი

**ნახევარფინალი (განმეორებითი მატჩები):**

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — **ალავესი (ესპანეთი)** 1-4 (1-4);

**ლივერპული (ინგლისი)** — ბარსელონა (ესპანეთი) 1-0 (0-0).

## რუსებსაც მოუგეს! - გაუჭირდებოდათ, თუ?...

**3**



### საშველი აღარაა. ქართველი მორაგბეები ზედიზედ იმარჯვებენ

## მსაჯი დაისაჯა

**გუშინ.** 19 აპრილს, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ განიხილა ლოკომოტივი — დინამო (თბ) მატჩის არბიტრის ა. შალამბერიძის საკითხი. კერძოდ, ა. შალამბერიძემ ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და არ გააძევა მოედნიდან თბილისის „დინამოს" მეკარე გრიშიკაშვილი უდისციპლინო საქციელისათვის. იმის გამო, რომ სფფ-ს დელეგატმა გ. ფირცხალავამ მისი მსაჯობა 6,9 ბალით შეაფასა, კომისიამ შალამბერიძეს 1 თვით აუკრძალა უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობა.



დინამო (თბ) — ლოკომოტივი



## კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**19 აპრილი.** თსუ — ბასკო 84:105, შევარდენი — მაკაბი 70:84, აზოტი — სტუ-ჯეოსელი 103:106 (დამატებით დროში).

## დღეს, თბილისში, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში, 16 საათზე, საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს „უნივერსიადა-2001"




## ქართველი მოჭადრაკე ქალები ევროპის ჩემპიონატში ვასპარეზებენ ვარშავაში

**8**

## ჩემპიონთა ლიგა — მიმოხილვა **4** მეოთხედფინალი. განმეორებითი მატჩები

## „მრეტები" ბლატერის წინააღმდეგ! **2**

## ისრაელის ნაკრები შარფიდან — ნილსენამდე! **5**

## ვინ გავა ევროთასებზე?

ცოტაც და საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატიც ისტორიის კუთვნილება გახდება. გათამაშების ცხრილში ისეთი სიმჭიდროვეა, ვერავინ გააკეთებს პროგნოზს, ვინ გახდება ჩემპიონი თუ პრიზიორი. ცხადია, საინტერესოა, უეფას კოდექსის მიხედვით, ვინ გავა ევროთასებზე?

სფფ-ს განმარტებით, თუ საქართველოს ჩემპიონი მოიპოვებს ქვეყნის თასსაც, ამ შემთხვევაში ჩემპიონი ისპარეზებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ხოლო ფინალისტი — უეფას თასზე. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა თასის ფინალისტი გადის უეფას თასზე — ყველა სხვა შემთხვევაში, უეფას თასზე გადის თასის მფლობელი და მეორე ადგილზე გასული, თუ თასი მოიპოვა მეორე ადგილზე გასულმა გუნდმა, იგი უეფას თასზე გავა, როგორც თასის მფლობელი, მეორე საგზური კი ერგება მესამე ადგილოსანს. შესაბამისად, ინტერტოტოს თასზე ითამაშებს მომდევნო ადგილზე გასული გუნდი.



## ტაისონი თანახმაა - მისი ბრძოლა ივნისში გაიმართება

სახელგანთქმული მძიმეწონოსანი მოკრივე მაიკ ტაისონი, რომლის სამმა ბოლო ბრძოლამ საერთო ჯამში 11 წუთზე ნაკლებმა გასტანა, თანახმაა 2 ივნისს ვაშინგტონში ჩხუბი გამართოს ნიგერიელ დევიდ იზონთან. ამის შესახებ ცნობილი გახდა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ორივე მოკრივის პრომოუთერები.



**7-8** რუბრიკის ჰოლმიერი: ხდება, ყველაფერი ხდება...



## ბურტმა „იაგუარს" უგანა

გუშინ, ბრაზილიის მრბოლის ლუჩანო ბურტის (სურათზე) ოფიციალურ საიტზე გაჩნდა სენსაციური ცნობა: „დაე იცოდეს ყველამ, რომ „იაგუარიდან" „პროსტში" გადაველ და სეზონის დარჩენილ 13 გრან-პრის ფრანგები' გუნდში გავატარებ".

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:



**თავხედობაც ამას ჰქვია!** ფეხბურთის ისტორიაში ასეთი თავხედობა ჯერ არავის ჩაუდენია. „ბაიერნისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ, ვიღაც თვითმარქვია „ოლიმპიაშტადიონზე" სტუმართა გუნდთან, მათ ფორმაში გადაცმულმა, სურათი გადაიღო. იტყობინებიან, რომ იგი ძალიან ჰგავდა ერიკ კანტონას. და მაინც, ვინ იყო ის შერეკილი? (ფოტოზე დგას მარცხნიდან პირველი). წუხელ, გვიან ღამით, მისი ვინაობაც დადგინდა — იგი ინგლისელი ჟურნალისტი აღმოჩნდა...

**პოლიტიკოსები სოჭში ითამაშებენ**. დღეს სოჭში იწყება დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა და პარლამენტთა ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი. შეჯიბრებაში აქჯერადაც ისპარეზებს საქართველოს პოლიტიკოსთა ნაკრები.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 18 დღე გააშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

**ბატუტზე ხტომა** **თბილისის თასი**

# XXI საუკუნის პირველი ასპარეზობა

თბილისი ინარჩუნებს სპორტულ რიტმს — კვირა არ გაივლის რაიმე შეჯიბრება არ გაიმართოს, მეტწილად დედაქალაქის ღია ასპარეზობა, რაც ერთგვარად ავსებს უსახსრობით გამოწვეულ საქართველოს პირველობების ვაკუუმს. ამასთან, კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ყველა ღონისძიებას აუცილებლად ესწრება. დედაქალქის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის სამსახურის და ფედერაციის ხელმძღვანელობა, ცნობილი ვეტერანი სპორტსმენები.

ბატუტზე ხტომა მხოლოდ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და რუსთავში შემორჩა. დედაქალაქის თასის გათამაშებაში ამჯერად ზემოხსენებული ქალაქებიდან სპორტსმენების მოწვევა არ დაემთხვა საერთო ინტერესებს და მხოლოდ თბილისელებმა იასპარეზეს.


კვარცხლბეკი

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.***

**ოსტატთა პროგრამით:** 1. თენგიზ კოშკაძე, 2. ოლეგ გოგოლაძე, 3. ალექსანდრე გაგანაშვილი; ***გოგონები:*** 1. ლუბა გოლოვინა, 2. ნანა ღუჭაშვილი, 3. ნათია შეყილაძე. **სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით:** 1. გიორგი მარქარიანი, 2. ვანო ნეფარიძე, 3. მიხეილ ფეიქრიშვილი; ***გოგონები:*** 1. მარიამ ჯამაგიძე, 2. თეონა მოდებაძე, 3. ოლია იურჩენკო. **პირველთანრიგოსანთა პროგრამით:** 1. გიორგი მალალაშვილი, 2. ნიკა ნოზაძე, 3. არტიშ გალოიანი; ***გოგონები:*** 1. ლამარა გოგოლაძე, 2. მაია ზაალიშვილი, 3. თინათინ მიქელაძე.

## მილოცვები

საქართველოს სამბოს ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს საქართველოში სამბოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს და მრავალგზის პრიზიორს, საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს. ღირსების ორდენის კავალერს ***ქრისტეფორე ნონიაშვილს.***

* **

ქ. თბილისის მერიის სპორტის სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე სამსახურთან არსებული ოლიმპიური რეზერვის კომპლექსურ-სპორტული სკოლის დირექტორს ***ელდარ ფარჯანაძეს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე სამსახურის თავმჯდომარის მოადგილეს, ვეტერან ხელბურთელს ***ზაზა დოლიძეს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ტანვარჯიშის სახეობათა სპორტული სკოლა და მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ვეტერან ხელბურთელს ***ზაზა დოლიძეს.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ტანვარჯიშის სახეობათა სპორტული სკოლა და მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ ამავე სამსახურთან არსებული ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორს ***ელდარ ფარჯანაძეს.***

**პრესკონფერენცია**

## მრეტები ფიფას წინააღმდეგ

მრეტებმა, მისმა დამფუძნებელ – პარტნიორმა და პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ ოთხშაბათს, ავსტრიულ – ქართულ რესტორან „გრაცში“ ქართულ მასმედიას უხმო და დიდი ხნის ნანატრი პრესკონფერენცია გამართა. ცხადია, ჟურნალისტებს ადრეც ბევრი რამ აინტერესებდათ, რაც ვაჟა ჩხაიძის გერმანიაში მოღვაწეობის გამო, უპასუხოდ რჩებოდა. ამჯერად ყველა კითხვას გაეცა პასუხი. მთავარი კი ისაა, რომ მრეტები – დინამოს ფინანსური დავა ფიფას ფედერალური სამართლის ფარგლებში დასრულდა – ქინქლაძის სატრანსფერო თანხა გადახდილია. მაგრამ გადასაჭრელი დარჩა საერთო პრობლემები, რომელიც არა მხოლოდ მრეტებს ეხება და ვაჟა ჩხაიძე ახალ ბრძოლას იწყებს, მოპასუხე კი ამ სათაურით ფიფას პრეზიდენტი ბლატერი იქნება. როგორც ვაჟა ჩხაიძემ განაცხადა, მალე გამოვა მისი წიგნი სათაურით „მრეტები ბლატერის წინააღმდეგ“. მანამდე კი მისი ხელმოწერით ოფიციალური წერილი მთელი რიგი ბრალდებებით გაეგზავნა თვით ბლატერს, მსოფლიო საფეხბურთო კონფერენციებს და ეროვნულ ფედერაციებს, კლუბებს, საერთაშორისო მასმედიას.

ამავე შეხვედრაზე შედგა ვაჟა ჩხაიძის წიგნის – „მრეტები“ – პრეზენტაცია.

ერთ-ერთ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ნაწყვეტს ამ წიგნიდან, „ლელოს“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

**წიგნის თარო**

შესახედავადაც და, რაც მთავარია, შინაარსით ეს ლამაზი წიგნი, ხელში ალებისთანავე, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად ჩავიკითხე. თავდაპირველად წერის მანერამ და სტილმა, აზრის ტევადობამ, ქვეტექსტების სიუხვემ მიმიზიდა, მერე და მერე თვალწინ გადაიშალა არცთუ შორეული წარსულის სუნთქვა, მძიმე წლების განცდები, რომელმაც ყველა მოიცვა, თანდათან გამოიკვეთა მარად ნაცნობი პრობლემები ფილოსოფიურ პრიზმაში. გამოჩნდა ავტორის ცხოვრებისეული კრედო, ქრისტიანული მრწამსი — მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, სიმართლე, სულგრძელობა, არანაირი ბოლმის ნატამალიც კი, რწმენით სვლა სიმართლის დასამკვიდრებლად. ნიშანდობლივი ბოლოსთვის შემოვინახე — ფეხბურთის ცოდნა, რის გამოც ავტორის შეხედულებები და შეუპოვრობა, სულაც არ არის რამე ახირება, უმიზნო კაპრიზი. წაიკითხავთ ამ წიგნს და დარწმუნდებით, რომ ეს კაცი აუცილებლად უნდა მოსულიყო ფეხბურთში. სწორედ ასეთ კაცს შეეძლო დაეწერა ეს მშვენიერი წიგნი...

**თ. თომაშვილი**




**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია ● ალპინიზმი**

# სათანრიგო ნორმატივები

### საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

**ვაჟები:** 1. საქართველოს ჩემპიონატზე დაკავებული ადგილებით დააგროვონ 30 ქულა და გარდა ამისა შეასრულონ სამი 6B კატეგორიის სირთულის ასვლა (პირველგავლა, წყილში, ზამთრის, სიმაღლოვანი);
2. შეასრულონ ორი ასვლა ზღვის დონიდან 8000 მეტრზე მაღალ მწვერვალზე, არა ნაკლებ 6B კატეგორიის სირთულის მარშრუტით, უქანგბადოდ და საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავონ I ადგილი.

**ქალები:** 1. საქართველოს ჩემპიონატზე დაკავებული ადგილებით დააგროვონ 20 ქულა და გარდა ამისა შეასრულონ 6B კატეგორიის სირთულის ასვლა.

### საქართველოს სპორტის ოსტატი

**ვაჟები:** საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავონ I ადგილი და შეასრულონ 6B კატეგორიის სირთულის ასვლა; ან საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავონ II-III ადგილი და შეასრულონ 6B კატეგორიის სირთულის ასვლა ან, მოაგროვონ 20 ქულა, მათ შორის 6 საქართველოს ჩემპიონატზე დაკავებული ადგილებით და შეასრულონ 6B კატეგორიის სირთულის ასვლა.

**ქალები:** I და II ჯგუფის შეჯიბრებებზე დაკავებული ადგილებით დააგროვონ 10 ქულა და შეასრულონ 6B კატეგორიის სირთულის ასვლა.

**შეჯიბრებაში მოპოვებული ქულები**

**I ჯგუფი** — საქ.ჩემპიონატი (ქულები): I ადგილი — 10 ქულა, II — 8, III — 6, IV — 5, V — 4, VI — 3, VII — 2, VIII — 1.

**II ჯგუფი** — დსთ-ს (ევრაზიის) და კავკასიის ჩემპიონატი (ქულები): I ადგილი — 5 ქულა, II — 4, III — 3, IV — 2, V — 1.

*შენიშვნები:* 1. საქართველოს ჩემპიონატი I ჯგუფის შეჯიბრებას მიეკუთვნება, თუ თითოეულ კლასში, რომელშიც ჩემპიონატი თამაშდება, მინიმუმ ხუთი მარშრუტი მაინც არის შესრულებული, რომელთა შორის არა ნაკლებ სამისა უნდა იყოს 6 A ან 5 B (პირველგავლა) კატეგორიის სირთულისა;
2. იგივე მოთხოვნებია II ჯგუფის (დსთ: კავკასიის) შეჯიბრებებისათვის.

**ქულები 5B — 6B ასვლებისათვის:**
5B კატეგორიის სირთულის მარშრუტი — 0,5 ქულა
6A კატეგორიის სირთულის მარშრუტი — 2,0 ქულა
6B კატეგორიის სირთულის მარშრუტი — 3,0 ქულა
ასვლისათვის წყილში, მარშრუტის პირველგავლისათვის, სასიმაღლო (6900 მ. და უფრო მაღალი მწვერვალი) და აგრეთვე ზამთრის ასვლისათვის მთამსვლელებს დამატებით დაერიცხებათ თითო ქულა.

**სპორტული თანრიგების შესრულებისათვის აუცილებელი ასვლების რაოდენობა და სირთულე**

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ვაჟები:** 6A — 1; 5B — 2; 5A — 1 (წყილში); 4B — 1 (ხელმძღვანელობა); 3B — 1 (ზამთრის).
**ქალები:** 5B — 2; 5A — 1; 4B — 1; 3B — 1 (ხელმძღვანელობა); 2B — 1 (ზამთრის).
**I თანრიგი. ვაჟები:** 5A — 2; 4B — 2; 4A — 2 (წყილში); 3B — 1 (ხელმძღვანელობა); 2B — 1 (ზამთრის).
ქალები: 5A — 1; 4B — 2; 4A — 2; 2B-1 (ხელმძღვანელობა).
**II თანრიგი. ვაჟები:** 4A — 1; 3B — 2; 3A — 3: 2B — 1 (ხელმძღვანელობა)
**ქალები:** 3B — 2; 3A — 3.
**III თანრიგი.** 2B — 1; 2A — 2; 1B — 2.

### სათანრიგო ნორმატივების შესრულების პირობები

1. სპორტული თანრიგებისა და წოდებების მინიჭების დროს ჩათვლაში მიიღება მხოლოდ ის მარშრუტები, რომლებიც შეტანილია „მთის მწვერვალების საკლასიფიკაციო ცხრილებში“ და ამავე დროს შესრულებულია რეგისტრირებულ ალპლონისძიების ჩარჩოებში „მწვერვალებზე ასვლების წესების“ დაცვით. ჩათვლაში არ მიიღება: ასვლები წინასწარ გამზადებული მარშრუტებით (ე. წ. კომერციული ასვლები); ასვლები გამყოლების (გიდების) თანხლებით; ასვლები სხვათა დახმარებით (წინა ჯგუფის მიერ დაკიდებული თოკები, ხელოვნური საყრდენი წერტილები, კიბეები და ა.შ.).
2. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის და საქართველოს სპორტის ოსტატის წოდები' მინიჭებისას ჩათვლაში მიიღება შეჯიბრებებზე და ასვლებზე მხოლოდ უკანასკნელი ოთხი კალენდარული წლის მანძილზე დაგროვილი ქულები.
3. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ სპორტსმენებს, რომელთაც დამტკიცებული აქვთ სპორტის ოსტატის წოდება.
4. სპორტული თანრიგებისა და წოდებების მინიჭებისას საზღვარგარეთ გავლილი მარშრუტების ჩათვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ არსებობს ასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული იმ ქვეყნის ალპინიზმის ფედერაციის (ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის) მიერ, რომელ ქვეყანაშიც განხორციელდა ასვლა.
5. სპორტის კანდიდატის თანრიგის მინიჭებისას ჩათვლაზე მიიღება, არანაკლებ 5B კატეგორიის სირთულის ერთი კომბინირებული, ან თოვლ-ყინულოვანი მარშრუტი, ან იმავე სირთულის მარშრუტი, გავლილი ზამთრის პირობებში; I თანრიგზე — ერთი 5A და ერთი 4B კომბინირებული მარშრუტი.
6. ასვლების შესახებ ანგარიში განსახილველად მხოლოდ ერთ შეჯიბრებაზე მიიღება.
7. სპორტული თანრიგები 16 წლიდან მიენიჭებათ.

## საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მიმართვა

**ალპინისტურ სექციებს, კლუბებს, კავშირებს, ორგანიზაციებს, მთამსვლელთა დამოუკიდებელ ჯგუფებს**

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია იწყებს წევრთა (ალპინისტთა) ახალ რეგისტრაციას; ამზადებს გამოსაცემად ქართველ მთამსვლელთა ასვლების მატიანეს (1954-2000 წლები); ანახლებს თანრიგებისა და წოდებების მინიჭებას ალპინიზმში; ნერგავს მწვერვალებზე ასვლების ორგანიზაციის, ასვლების შესრულების და ასვლების ჩათვლების განახლებულ წესებს.

დაინტერესებულ პირს, ორგანიზაციას, განმეორებით მივმართავთ თხოვნით, წარმოგვიდგინონ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შესრულებული ასვლების სრული ჩამონათვალი მონაწილეთა გვარების, მწვერვალთა სირთულის კატეგორიის და მარშრუტის ზუსტი დასახელებით; აგრეთვე თქვენი მოსაზრებები და წინადადებები ზემოდასახელებულ პრობლემათა ირგვლივ.

**ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო**

## განცხადება

**ა.წ. 27 აპრილს, 15 საათზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში (ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ა) ჩატარდება საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა (დელეგატთა რეგისტრაცია 14 საათიდან).**

**მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია გააერთიანებს საქართველოს ალპინისტთა, მეკლდეურთა და სამთო ტურისტთა ფართო წარმომადგენლობას.**

**ყრილობის წინამოსამზადებელ პერიოდში შექმნილი საინიციატივო ჯგუფის, მთამსვლელთა და მეკლდეურთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ყრილობის დელეგატებად მოწვეულნი არიან:**

**სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, ჩემპიონები და პრიზიორები. შეიარაღებული ძალების ჩემპიონები;**

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები;**

**საქართველოს ჩემპიონები მეკლდეურობაში;**

**დსთ-ს ჩემპიონები და პრიზიორები მეკლდეურობაში;**

**შვიდ და რვაათასიანი სიმაღლის მწვერვალთა დამპყრობნი;**

**მეექვსე კატეგორიის სირთულის მწვერვალთა დამპყრობნი;**

**მეხუთე კატეგორიის სირთულის მწვერვალთა დამპყრობნი (ახალგაზრდები 30 წლამდე). ალპიური კლუბებისა და სხვა ალპინისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის გამოყოფილია დელეგატის თითო მანდატი.**

**საპატიო სტუმრის სტატუსით ყრილობას დაესწრება საქართველოს საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლობა.**

**ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირს, ყრილობასთან დაკავშირებული თავისი მოსაზრებებით და წინადადებებით მოგვმართოს ალპიურ კლუბში (მ. კოსტავას 37, ოთახი №8), 18-დან 25 აპრილამდე ყოველდღე 17-დან 19 საათამდე. (საინიციატივო ჯგუფი: ლ. გურჩიანი, ბ. გუჯაბიძე, ზ. კუჭავა, გ. ოთარაშვილი, ა. უთარაშვილი, გ. ქართველიშვილი, თ. შარაშენიძე, ზ. ჩართოლანი).**

**ყრილობის საინიციატივო ჯგუფი**

### ფიზიკური ვარჯიში არა მხოლოდ მსუქნებისთვის, გამხდრებისთვისაც აუცილებელია



ამ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი მკვლევარები და არა მხოლოდ იმ ადამიანებს ურჩევენ ფიზიკურ ვარჯიშს, ვისაც ჭარბი სიმსუქნე აწუხებს, არამედ — გამხდრებსაც. ფიზიკური ვარჯიში თურმე მინიმუმამდე ამცირებს გულის იშემიური დაავადების რისკს. კანადელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ გამხდარი ადამიანებიც არ უნდა მოდუნდნენ. უმოძრაობა ამაღლებს გულის შეტევის რისკს.

# სპორტული პლანეტა

## რუსებსაც მოუგეს! - გაუჭირდებოდათ, თუ?...



### საშველი აღარაა. ქართველი მორაგბეები ზედიზედ იმარჯვებენ

საზოგადოებაში თანდათან ამკვიდრებენ აზრს, რომ ოვალურბურთა თამაში ზედგამოჭრილია ლელოს მშობელი ერის შვილთათვის.

აი, ახლაც, ქვეყნის კიდეზე, ჩილეში, ჭაბუკთა (19 წლამდე) 33-ე მსოფლიო პირველობაზე, საქართველომ II ჯგუფში ოთხივე მეტოქე (გერმანია, აშშ, ესპანეთი, რუსეთი) დაამარცხა, ჩემპიონი შეიქნა და გაისად, იტალიაში, I ჯგუფში იასპარეზებს.

ნორჩმა „ბორჯღალოსნებმა" აღზევება ჯერ კიდევ ნახევარფინალის მოგებით გაინაღდეს, მაგრამ ფინალსაც ფრიადი დატვირთვა ჰქონდა, რაკი მეტოქე რუსეთი იყო.

და ჰა, ქართველებმა ისევ გააბიაბურეს მეტოქე და მერე როგორ - 37:8. ჩვენმა ბიჭებმა სლავები ხუთჯერ დაალელოვეს, თავად კი მათგან მხოლოდ ერთი იგემეს.

ქართველთა ლელოები საყვარელიძის, ყურაშვილის, შკინინის, პავლოვისა და გ... ანგარიშზე, თითო გაროსახვა შეაგდეს ავლოხაშვილმა, პინჩუკოვმა და სოხაძემ, ხოლო ავლოხაშვილმა ყველაფერ ამას ორი არეკნიც ზედ დაურთო.

მოკლედ, გამარჯვება ულაპარაკო იყო, მაგრამ განათლებულ უცხოურ სარაგბო მედიას, „ველურ კავკასიელთა" ყოველი წარმატება გულზე ეკლად ესობა.

ჰოდა, ამჯერადაც გაკრა კბილი ჩემპიონებს, ესაო და ფინალის ულამაზესი ლელო მაინც წაგებულმა რუსებმა გაიტანეს და გამარჯვებულებმაც ოსტატობით კი არა, უფრო ღონით აჯობეს ბეჩავ სლავებსო (აფერუმ!)

აქ რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. სხვაფრივ, რაგბში ღონიერება თუ სირცხვილად ითვლებოდა, აქამდე რაღაც ვუწყოდით და თუ მართლა მაგრეა, მაშ, რა გაეწყობა - ყველას, მეტადრე კი საერთაშორისო რაგბის შარახვეტია მაფიას, თავ-თავის გაგებაში გაუმარჯოს!

ახლა რაც შეეხება საკუთრივ I ჯგუფსა და საგაისო პირველობას. ნახევარფინალში ზელანდიამ შარშანდელი წყენისთვის სამაგიერო გადაუხადა ავსტრალიას, დიდი ფინალი კი საფრანგეთს მოუგო და მეორედ შეიქნა ჩემპიონი (პირველად 1999 წელს, უელსში იპირველა).

ამავე ეტაპზე გაირკვა ის ორი გუნდი, რომლებსაც გაისად შეცვლიან საქართველო და რუსეთი. ესენი არიან სამოა და კორეა, ანუ ისინი, ვინც შარშან II ჯგუფში ივაჭკაცა.

2002 წლის პირველობას უმასპინძლებს იტალია. გათამაშების სისტემა იგივე იქნება, რაც წელს იყო. ასე რომ, საქართველო მეოთხედფინალში საფრანგეთს გაეჯიბრება, I ჯგუფში დასარჩენად კი პირველ სამ წრეში თუნდაც ერთხელ გამარჯვებაა საჭირო.

**ჭაბუკი „ბორჯღალოსნები" 2001**

***მძიმე ფორვარდები*** (1, 2, 3): დავით ხინჩაგაშვილი (ლოკომოტივი), ავთო კოპალიანი (აია), 3 აკაკი სანაძე (უნივერსიტეტი); დავით ზირაქიშვილი (...), ლევან ლევაზერიძე (ლელო), ბესიკ ქარ...ბაკი (უნივერსიტეტი).

***ზორბა ფორვარდები*** (4, 5): დიმა პავლოვი (ლელო), შალვა პაპაშვილი (აკადემია), დათო აბაშიძე (ხულიგანა), ლევან დათუნაშვილი (ასკ).

***ჩაუქი ფორვარდები*** (6, 7, 8): ბექა ყურაშვილი (აია), ოთარ ტორაძე (აია), შოთა საყვარელიძე (აია), რეზო ბელქანია (ლელო).

***ჰავბეკი*** (9): გიორგი კაჭარავა (ყოჩები), ბიძინა სამხარაძე (ასკ).

***შუა ბეკები*** (10, 12, 13): ლადო ავლოხაშვილი (ლელო), ბექა შარაშენიძე (ყოჩები), ირაკლი გიორგაძე (აია), ბექა კობახიძე (უნივერსიტეტი), დენის პინჩუკოვი (ასკ).

***უკანა ბეკები*** (11, 14, 15): გოგა შკინინი (ხულიგანა), ლექსო გუგავა (ლოკომოტივი), ივანე სოხაძე (ყოჩები), ნიკა მხეიძე (ყოჩები), ოთარ ბარკალაია (ლელო).

***მწვრთნელები:*** პაატა ნარიმანაშვილი (აკადემია), ლევან მაისაშვილი (ლელო), მამუკა ტყეშელაშვილი (ხულიგანა). ექიმი ბესიკ ჩადუნელი. მენეჯერი დიმა ობოლაძე. მრჩეველი კლოდ სორელი. დელეგაციის ხელმძღვანელი მიხეილ ბურძგლა.

#### და კიდევ. უფროსთა რეიტინგის შესახებ:

მას აქეთ, რაც საქართველოს „ბორჯღალოსნებმა" ბუქარესტში რუმინეთი 31:20 ძლიეს, „ერთა თასი" ხომ მოიპოვეს და ოფიციალურადაც დაიგდეს ევროპაში მეშვიდე (7) გუნდის სახელი.

ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე კი რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) მორიგი სხდომა გამართა, მაგრამ ვგლახ, რომ ისევ ვერ დააყენა საშველი მსოფლიო რეიტინგის შემოღებას. არადა, ირბ ამ საჭირბოროტო თემაზე არც მეტი, არც ნაკლები, 1994 წლიდან მუშაობს.

ჰოდა, ამის მერე რაღა გვრჩება: ქართული რაგბის გლობალური ძალის შესაფასებლად ისევ მეკომპუტერე მეცნიერების ნამუშევარს უნდა დავეყრდნოთ. ამათგან უდავოდ საუკეთესოა ზელანდიელი შეინ ჰადსონის სისტემა, რომელიც გუნდს ბოლო ათ თამაშს უთვლის და თან მეტოქის სიძლიერეს, ანგარიშის სხვაობასა და მატჩის სიძველესაც ითვალისწინებს.

ჰადსონის რეიტინგით საქართველო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სულ აღმა მიდის და აგერ, მე-40 პოზიციიდან მე-16-მდეც აღზევდა. ერთი კია, თუმც რუმინეთს ვაჯობეთ, კარპატელებს იმოტოლა მარაგი ჰქონდათ, რომ ჯერაც ჩვენზე ზემოთ სუფევენ.

სხვაფრივ, ჰადსონის სისტემა რომ საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარს ზუსტად და ოპერატიულად ასახავს, კიდევ დადასტურდა.

ჭეშმარიტად, ინგლისმა ისე იმძლავრა ელიტარულ „ექვს ერში" და ისეთი კლასი გამოამჟღავნა, რომ ჰადსონის სიაში მსოფლიო თასის მფლობელ ავსტრალიასაც კი გადაუსწრო ქულებით, რაც რაგბის ქომაგთა შთაბეჭდილებას დაემთხვა.

**ზაალ ბიჭ...ნეიშვილი**

---

**ველორბოლა**

## „ლომბარდიის ტურის" პირველი ეტაპი მასპინძელმა მოიგო

იტალიის ქალაქ ბერგამოში სტარტი აიღო ტრადიციულმა მრავალდღიანმა ველორბოლამ „ლომბარდიის ტური". როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ეტაპი მოიგო მასპინძელმა პაოლო ვალოტიმ: ბერგამო — დარფო ბოიარიო ტერმეს ტრასა, რომლის სიგრძე 184,6 კილომეტრია, მან დაფარა 4 საათში, 26 წუთსა და 35 წამში. გამარჯვებულს სულ რაღაც ორი მეასედი წამით ჩამორჩნენ უკრაინელი ვლადიმირ დუმა, შვეიცარიელები შტეფან რუტიმანი და ალექსანდრ მოოსი, რუსეთელი ალექსანდრ ბოჩაროვი.

---

**კრივი**

## მეფემ პრინცი რიგში დააყენა




მაშ ასე, გადაწყვეტილი ამბავია — წლეულს, სექტემბერში, მეხიკოს სახელგანთქმულ „ატცეკას" სტადიონზე ერთმანეთს შეერკინებიან WBC ვერსიით 57,2 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი ერიკ მორალესი და რინგის ახალ მეფედ შერქმეული მარკო ანტონიო ბარერა. ამ შეხვედრის ინიციატივა ბარერასაგან მოდის, თუმცა ...ნამდე იგი მატჩ-რევანშში უნდა შეხვედროდა „პრინც" ხამედს. ნურას უკაცრავად, — ბრძანა მეფემ; — პრინცმა ნება იბოძოს და დამელოდოსო.

---




**ნბა**

## პლეი-ოფების დროც მოახლოვდა

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში შედგა პლეი-ოფისწინა დასკვნითი მატჩები. „ნიუ-იორკმა" შინ ანგარიშით 94:88 დაამარცხა „დეტროიტი" და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: ფილადელფია — ჩიკაგო 86:92, ვაშინგტონი — ტორონტო 92:98, დენვერი — საკრამენტო 110:100, სიეტლი — სან-ანტონიო 105:67, კლივლენდი — ინდიანა 101:105 (ოვერტაიმი), ორლანდო — მაიამი 91:103, დალასი — მინესოტა 120:100, გოლდენ სტეიტი — ვანკუვერი 81:95, ფინიქსი — იუტა 98:93, ბოსტონი — შარლოტი 92:97.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| **ფილადელფია** | **82** | **56** | **26** | **68,3** |
| **მილუოკი** | **82** | **52** | **30** | **63,4** |
| **მაიამი** | **82** | **50** | **32** | **61,0** |
| **ნიუ-იორკი** | **82** | **48** | **34** | **58,5** |
| **ტორონტო** | **82** | **47** | **35** | **57,3** |
| **შარლოტი** | **82** | **46** | **36** | **56,1** |
| **ორლანდო** | **82** | **43** | **39** | **52,4** |
| **ინდიანა** | **82** | **41** | **41** | **50,0** |
| ბოსტონი | 82 | 36 | 46 | 43,9 |
| დეტროიტი | 82 | 32 | 50 | 39,0 |
| კლივლენდი | 82 | 30 | 52 | 36,6 |
| ნიუ-ჯერსი | 82 | 26 | 56 | 31,7 |
| ატლანტა | 82 | 25 | 57 | 30,5 |
| ვაშინგტონი | 82 | 19 | 63 | 23,2 |
| ჩიკაგო | 82 | 15 | 67 | 18,3 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| **სან-ანტონიო** | **82** | **58** | **24** | **70,7** |
| **ლეიკერსი** | **82** | **56** | **26** | **68,3** |
| **საკრამენტო** | **82** | **55** | **27** | **67,1** |
| **იუტა** | **82** | **53** | **29** | **64,6** |
| **დალასი** | **82** | **53** | **29** | **64,6** |
| **ფინიქსი** | **82** | **51** | **31** | **62,2** |
| **პორტლენდი** | **82** | **50** | **32** | **61,0** |
| **მინესოტა** | **82** | **47** | **35** | **57,3** |
| ჰიუსტონი | 82 | 45 | 37 | 54,9 |
| სიეტლი | 82 | 44 | 38 | 53,7 |
| დენვერი | 82 | 40 | 42 | 48,8 |
| კლიპერსი | 82 | 31 | 51 | 37,8 |
| ვანკუვერი | 82 | 23 | 59 | 28,0 |
| გოლდენ სტეიტი | 82 | 17 | 65 | 20,7 |

---

**ჩოგბურთი**

## არანტა ტურნირს გამოეთიშა



ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში მიმდინარე პირველი კატეგორიის ქალთა საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში სენსაცია მოხდა — რუსეთელმა ელენა ლიხოვცევამ ორ სეტში დაამარცხა ესპანელი არანტა სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:4. გახარებულმა ლიხოვცევამ ჟურნალისტებთან საუბარში ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ მოვლენას: „ჩემი გამარჯვება ბევრად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მატჩი საღამოს გაიმართა. მიყვარს, როცა მზე ხელს არ მიშლის, თანაც კარგად შევისწავლე მეტოქის თამაშის მანერა."

სხვა შეხვედრებში ჯენიფერ კაპრიატიმ დაამარცხა როსანა დე ლოსრიოსი, ამანდა კეტცერმა — ტატიანა პანოვა, მარი პირსმა — ჯენიფერ ჰოპკინსი, ამელი მორესმომ — მარისა ირვინი, რუქსანდრა დრაგომირ-ილიემ — ჩანდა რუბინი, პაოლა სუარესმა — მარია ემილია სალერნი, ლაიზა რეიმონდმა — პავლინა ნოლა, მარლენ ვაინგარტნერმა — მეგან შონესი, ჰენრიეტა ნადიოვამ — იანა ნეიედლი, ნიკოლ პრატიმ — სილვია ფარინაელია, ივა მაიოლიმ — ალექსანდრა სტივენსონი.

---

**ფორმულა-1**

## „მაკლარენის" ზეობა სილვერსტოუნში




მიკა ჰაკ· ნენი

გუშინ, სილვერსტოუნში, „ფორმულა-1-ის" ცნობილმა მრბოლებმა ტესტ-შეჯიბრი გამართეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავდათ „მაკლარენ-მერსედესის" პილოტებს მიკა ჰაკინენს (1.22,450) და დევიდ კულტჰარდს (1.21, 864). შემდეგ ადგილებზე გავიდნენ ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი („ჯორდანი - ჰონდა") და რალფ შუმახერი („უილიამს-ბმვ").

---

**ჭადრაკი**

## სომეხმა დრო იხელთა და ლიდერი გახდა...

საფრანგეთის ქალაქ ენენ-ლებანში გრძელდება მეჩვიდმეტე კატეგორიის საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც ლიდერობდა რუსეთელი ევგენი ბარეევი, მაგრამ გუშინ, მეშვიდე ტურში მან წააგო მოლდოველ ვიქტორ ბოლოგანთან. ბარეევის მდევარმა სომეხმა ვლადიმერ აკოფიანმა ფრედ დაასრულა პარტია მასპინძელ ეტიენ ბაკროსთან და სათავეში ჩაუდგა გათამაშებას. მან 5 ქულა დააგროვა, მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ ბარეევი, ლოტიე, ბაკრო (4,5-4,5 ქულა).

---

**მძლეოსნობა**




## ბაუმანმა ცუდად დაამთავრა

**მიმომხილველთა აზრით, გერმანელმა დიტერ ბაუმანმა თავისი როფესიული კარიერა უკვე დაასრულა. ბარსელონა-92-ის ჩემპიონს ხუთკილომეტრიან დისტანციაზე რბენაში, რომელიც დოპინგის ხმარებაში ამხილა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, დარმშტადტის სასამართლომ ჰამბურგის მარათონში მონაწილეობა აუკრძალა (ეს შეჯიბრება 22 აპრილს ჩატარდება).**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# მერე რა, რომ მატჩი ორტაიმიანია?

მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონი

**ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (თბილისი) 2–2**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ონიანი, შელია, სალუქვაძე, ცხადაძე, გილაური, ქიქველიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე (ზ. ლაცაბიძე, 46), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (პარამონოვი, 64, კაიდარაშვილი, 87).

**დინამო (თბ.):** გრიშიკაშვილი, კანდელაკი, შაშიაშვილი, ა. სახვაძე, მაზიაშვილი, გაბიდაური, ბურდული, მანწკავა, მიკუჩაძე, (გ. მიქაძე, 84), ზირაქიშვილი, იაგორაშვილი.

***გოლები:*** 1-0 გოგიჩაიშვილი (15), 2-0 გ. შენგელია (45), 2-1 მაზიაშვილი (56), 2-2 შელია (75, საკ. კარში).

***გააფრთხილეს:*** გრიშიკაშვილი, სახვაძე, სალუქვაძე, გილაური, კანდელაკი

***გააძევეს:*** ონიანი (45), სახვაძე (45).

***მსაჯი:*** ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი)

„გრიშელიადა" — ასე ენამოსწრებულად უწოდა განვლილ პაექრობას ერთ-ერთმა სპორტულმა ჟურნალისტმა. სწორედ გრიშიკაშვილი და შელია მოგვევლინენ ამ მატჩის ანტიგმირებად. დინამოელთა მეკარემ მატჩის პირველ ნახევარში რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რის გამოც მეტოქე დროის ამ მონაკვეთში ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა. განსაკუთრებით დასანანი იყო პირველი გოლი, როცა გოგიჩაიშვილის არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ ხელებშუა გაუშვა. მერე კი, მატჩის მეორე ნახევარში „თავი გამოიჩინა" შელიამ: მაშინ, როდესაც რკინიგზელები 2-1-ს იგებდნენ, დინამოელებმა თითქოს ჩვეულებრივი შეტევა წამოიწყეს, ერთადერთი, რაც მოახერხეს, მაღალი ბურთი ჩაჰკიდეს „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანში. როგორც წესი, ასეთი დარტყმა ლომაიას ნადავლი ხდება, ახლაც ასე უნდა მომხდარიყო, მეკარემ დაიძახა ვიღებო, მაგრამ შელიამ რატომღაც მოინდომა ბურთის მოგერიება, იგი მცველს ფეხზე აეჭრა და კარის ბადეში აღმოჩნდა. ასე გაათანაბრა „დინამომ" ანგარიში. არადა, ვინ წარმოიდგენდა ამას — აგებდე გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან 0-2-ს და მეორე ტაიმში არამარტო გამოასწორო მდგომარეობა, მოგების შანსიც გაიჩინო.

რის ხარჯზე შეძლეს სტუმრებმა მატჩის გადარჩენა? ჯერ ერთი ამაში „დამნაშავენი" თავად დინამოელები არიან. პირველი ტაიმი გოჩა ტყებუჩავას შეგირდებმა უფრო მსაჯთან ურთიერთობის გარკვევას მოანდომეს, იყო ერთი გნიასი და ყაყანი და რომ არა შალამბერიძის ლმობიერება, რამდენიმე ფეხბურთელი ნამდვილად იმსახურებდა მინდვრიდან გაძევებას. მეორე ნახევარში „დინამო" უფრო დისციპლინიან, მონოლითურ კოლექტივად წარმოგვიდგა და შედეგმაც არ დააყოვნა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ „დინამოს" მეტოქეც დაეხმარა — მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდა და აკი, დაისაჯა კიდეც.

მატჩის გარჩევა არ იქნება სრულყოფილი, გაკვრით მაინც რომ არ შევეხოთ გუნდებში დისციპლინის საკითხს. განსაკუთრებით ეს „დინამოზე" ითქმის, რომელიც შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. თუ მათ ახლავე არ ისწავლეს ნერვების მოთოკვა, მერე, ევროპულ სარბიელზე გასვლისას გვიანი იქნება. აბა, ვინ აპატიებდა თუნდაც მეკარე გრიშიკაშვილს იმ მუშტი-კრივს, რომელიც მან გილაურთან გაჩაღა?

**ჯემალ ჭიპაშვილი**

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. უმაღლესი ლიგა. II ეტაპი IV ტური



წამიც და... გოგიჩაიშვილი (მუქ მაისურში) გოლს გაუტანს მოწინააღმდეგეს

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო



**კომენტარი.** სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე, „ლოკომოტივი" — „დინამოს" მატჩის კომისარი გია ფირცხალავა: „დინამოში" უდავოდ კარგი თაობა მოვიდა, ამ ნიჭიერ ბიჭებზე უკვე ალაპარაკდა ჩვენი საფეხბურთო სამყარო და იქნებ ამიტომაც, ამ ახალგაზრდებს, როგორც იტყვიან, თავში აუვარდათ, რაც ძალიან შესამჩნევი ხდება თამაშის პროცესშიც. დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გრიშიკაშვილისა და გილაურის შეჯახების ინციდენტმა. გრიშიკაშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეტოქეს, მსაჯმა კი სათანადო პრინციპულობა ვერ გამოიჩინა. ვფიქრობ, „დინამოს" მეკარე მინდვრიდან უნდა გაეძევებინა არბიტრს. პირველ ნახევარში ყველაფერი რიგზე იყო. აი, კონკრეტულ მომენტში, მატჩის მეორე ნაწილში, მსაჯის ლოიალობამ, ალბათ, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მატჩის ბედზე. მსაჯმა შეფასება 6,9 დაიმსახურა, რაც არადამაკმაყოფილებელია".

## ტექნიკური შედეგები

### I-VI ადგილები

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) — მერანი-91 (თბილისი) 1–0**

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, დილმელაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი (გოცირიძე, 84), ვ. გოჩაშვილი (ინწკირველი, 61), მელქაძე (გიორგი ქორიძე, 83), გოგობერიშვილი, ადამია.

**მერანი-91:** ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, გოგიტიძე, დევიძე, მინაშვილი, ჭინჭარაული, კოშკაძე, კვეკვესკირი (ხუციშვილი, 57), დავითნიძე, ჩხაიძე.

***გოლი:*** ნოზაძე (19).

***გააფრთხილეს:*** დავითნიძე, გუჯაბიძე.

***გააძევეს:*** გაბელია (21 წთ., „მერანის" მწვრთნელი), ჩხაიძე (86).

***მსაჯი:*** ავთანდილ ორდინიძე (ონი).

**კოლხეთი 1913 (ფოთი) — ტორპედო (ქუთაისი) 0–1**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ტორჩინავა (ჭანტურიძე, 63), გოროზია, ქობულაძე; კვირკველია, შალამბერიძე (ნარსია, 56), ვართაგავა, ღლონიძე, ხუჭუა (ყურაშვილი, 46), ფანჩულიძე, ე. გვასალია.

**ტორპედო:** ზოიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, ქმოკლიძე (მახვილაძე, 66), გუჩუა, კ. კვეტენაძე, იონანიძე, დიდავა, ბობოხიძე (აშვეთია, 51), იმედაძე (გვირჯიშვილი, 88).

***გოლი:*** ბობოხიძე (34).

***გააფრთხილეს:*** გოროზია, ფანჩულიძე.

***მსაჯი:*** ალექსანდრ მეშკოვი.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ. | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 33 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 31 |
| დინამო (თბ.) | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 25 |
| კოლხ.-1913 | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 22 |
| მერანი-91 | 4 | 0 | 2 | 2 | 0-4 | 18 |

### VII-XII ადგილები

**იბერია (სამტრედია) — დინამო (ბათუმი) 0–3**

**იბერია:** ცინაძე, მიქელთაძე, ნინუა, ამისულაშვილი, ჩაჩუა, გ. ნოზაძე (სანიკიძე, 46), თარგამაძე, კაკაშვილი, ლ. ხმალაძე, ჭიაბრიშვილი, გულორდავა.

**დინამო (ბთ):** ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, გველესიანი, მჟავანაძე, გელა ქორიძე (ჩიჩუა, 71), ღლონტი, ყულეჯიშვილი, მაჭუტაძე (აფხაზავა, 86), ტუღუში (დარჩიძე, 84), ა. მუჯირი.

***გოლები:*** ყულეჯიშვილი (58, 90), მაჭუტაძე (66).

***გააფრთხილეს:*** მინდაძე, მიქელთაძე.

***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**დილა (გორი) — გორდა (რუსთავი) 2–1**

**დილა:** ილურიძე, აკოფიანი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, მაისურაძე (ფეზუაშვილი, 84), ჩიტაია, რევაზიშვილი (საყვარელიძე, 73), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ერაძე, 87), თაყაძე.

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, გელაძე, ბერიძე (ციტეიშვილი, 81), ბექაური (ლაშა სილაგაძე, 68), მელაძე, ჯულელი (მიშველიძე, 59), ა. ჯელაძე, კ. ალადაშვილი, გიორგი მიქაძე.

***გოლები:*** 0-1 მელაძე (32), 1-1 მაისურაძე (33), 2-1 აკოფიანი (81).

***გააფრთხილეს:*** გოჩაშვილი, ილურიძე, რევაზიშვილი, თაყაძე, ბერიძე, ჯულელი, მიშველიძე.

***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**თსუ — სიონი 1–3**

**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე (ბეროშვილი, 69), ბერიანიძე, არეშიძე, გვაზავა (დათუნაიშვილი, 84), ზ. მეტრეველი, ახალაძე, მესხი, მერებაშვილი, ბ. ნოზაძე (დ. არჩვაძე 78).

**სიონი:** ვოლკოვი, მინდიაშვილი. სიდამონიძე, ირემაშვილი, სოლოღაშვილი, მოსეშვილი (კ. გოდერძიშვილი, 65), ამბიძე, ბარნოვი, ისიანი. (გოგოლაძე, 88), ბ. შენგელია, კ. მეტრეველი (დავითაშვილი, 46)

***გოლები:*** 0-1 ისიანი (4), 1-1 მერებაშვილი (12), 1-2 ისიანი (15), 1-3 შენგელია (90).

***გააფრთხილეს:*** არეშიძე (52), ვოლკოვი (59), შენგელია (63)

***გააძევეს:*** მესხი (75)

***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-2 | 19 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 16 |
| თსუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 16 |
| გორდა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 15 |
| სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 15 |
| იბერია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-14 | 3 |

*შენიშვნა: „სიონს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## I ლიგა. III ტური

### I-VI ადგილები

გურია-ლოკ2 — სამგურალი 0-2
მილანი — შუქურა 4-1
ცხინვალი — მეტალურგი 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 27 |
| სამგურალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 27 |
| გურია-ლოკ2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 25 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 24 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 23 |
| შუქურა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-9 | 2 |

### VII-XII ადგილები

ოკეანე — კოლხეთი (ხ) 1-1
თბილისი — ივერია 2-1
დინამო (ზ) — თორი (გადაიდო).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 19 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 17 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 15 |
| ოკეანე | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 13 |
| ივერია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 12 |
| დინამო (ზ) | 2 | ს | 0 | 2 | 0-4 | 12 |



## სფფ-ს საგანგებო კომიტეტში

გუშინ, 19 აპრილს, სფფ-ს საგანგებო კომიტეტის სხდომამ განიხილა საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის I ლიგის მონაწილე ზუგდიდის „დინამოს" კლუბის მიერ კალენდარული მატჩების გაცდენის საკითხი. ერთი დღით ადრე, 18 აპრილს, სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიამ (თავმჯდომარე ო. გოგიაშვილი) იმსჯელა ზუგდიდის დინამოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის, მეორე ტურში, ხაშურში, 12 აპრილს ივერიასთან მატჩზე გამოუცხადებლობის თაობაზე. ადრე, ზუგდიდის დინამო ასევე არ გამოცხადდა 21 მარტის კალენდარულ მატჩზე გორში ცხინვალთან სათამაშოდ, რომელიც სათანადო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, საპატიოდ ჩაეთვალა. სადისციპლინო კოლეგიამ ზუგდიდის დინამოს კლუბის მიერ XII ჩემპიონატის კალენდარული მატჩების სისტემატურად გაცდენასთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება სფფ-ს საგანგებო კომიტეტისადმი, ზუგდიდის დინამოს XII ჩემპიონატიდან მოხსნის შესახებ (სადისციპლინო კოდექსის თავი 1. 1.4 პუნქტის შესაბამისად).

სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა: XII ჩემპიონატის კალენდარული მატჩის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის ზუგდიდის დინამო სადისციპლინო კოდექსის თავი 1, პუნქტი 1.4 -ის თანახმად, მოიხსნას გათამაშებიდან. პუნქტი 1.6-ის თანახმად მოხსნილ გუნდს ნახევარი ან მეტი კალენდარული მატჩების ჩატარების შემთხვევაში, ყველა დანარჩენ თამაშებში ჩაეთვლება წაგება 0-3 და ასეთი გუნდი დაგროვილი ქულებით დარჩება გათამაშების ცხრილში.

## ანონსი. V ტური

### I-VI ადგილები. 21 აპრილი.

დინამო (თბ) — ვიტ ჯორჯია — მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
ტორპედო — ლოკომოტივი — მთავარი მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი);
მერანი91 — კოლხეთი 1913 — მთავარი მსაჯი ა. მეშკოვი (თბილისი).

### VII-XII ადგილები. 22 აპრილი

გორდა — იბერია — მთავარი მსაჯი ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სიონი — დილა — მთავარი მსაჯი ა. ორდინიძე (ონი)
დინამო (ბთ) — თსუ — მთავარი მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).

ისრაელის ნაკრები

# შლომო შარფიდან რიჰარდ მიოლერ-ნილსენამდე

ჩინებული სპეციალისტი შლომო შარფი დიდხანს წარმატებით უძღვებოდა ისრაელის ნაკრებს, დიდხანს, სანამ...

ევროპის 2000 წლის პირველობის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ისრაელის ნაკრების მეტოქეები იყვნენ ესპანელები, ავსტრიელები, კვიპროსისა და სან-მარინოს გუნდები. ესპანელებთან მეტოქეობა მეტად ძნელი იყო, მაგრამ ავსტრიელებთან გამკლავება, ისრაელის ნაკრების ხელმძღვანელობის აზრით, მათ გუნდს სავსებით შეეძლო და ეს აზრი გამართლდა კიდეც.

თავი დავანებოთ ესპანელებთან ორ წაგებულ მატჩს (თელ-ავივში 1-2, მადრიდში 0-3). უშუალო მეტოქეებთან — ავსტრიელებთან ისრაელის ნაკრები შესანიშნავად თამაშობდა: ვენაში ძნელი მატჩი ფრედ 1-1 დაასრულ . საკუთარ მინდორზე კი ბრწყინვ ლედ გაიმარჯვა 5-0 (ორი გოლი გაიტანა ბერკოვიჩმა, თითო — რევივომ, ა. მიზრახიმ და გრაიებმა). საერთოდ ამ ტურნირში ისრაელის ნაკრების თავდასხმა მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა: ა. მიზრახიმ 5 გოლი გაიტანა, 4-4 — რევივომ და ბენაიუნმა, 3 — რიმნიმ.



რიჰარდ მიოლერ-ნილსენი

საბოლოოდ ესპანეთის ნაკრები, როგორც მოსალოდნელი იყო, 21 ქულით პირველ ადგილზე გავიდა და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ისრაელის ნაკრებმა, ისევე როგორც ავსტრიელებმა, 13 ქულა მოაგროვა. უპირატესობა ისრაელის ნაკრებს მიენიჭა. ახლა მას ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად დანიელებთან ორი გადამწყვეტი მატჩი უნდა ეთამაშა. ვიმეორებთ, აქამდე შლომო შარფს ყველა ხოტბას ასხამდა. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა დანიელებთან წაგებაც მოეთმინათ, რაც არ უნდა იყოს, ევროპის ექს-ჩემპიონებთან თამაშობდნენ, მაგრამ...

ის, რაც 1999 წლის 13 ნოემბერს თელ-ავივის სტადიონზე 45 ათასი მაყურებლის თვალწინ მოხდა, მიმომხილველებმა ვერაფრით ახსნეს. არასდროს არ განუცდია ასეთი სასტიკი დამარცხება ისრაელის ნაკრებს, რომელიც იმავე ექსპერტების აზრით, საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და ძლიერი ოსტატებიც ჰყავდა. 0-5! შეიძლება ერთი მიზეზი უკვე მეორე წუთზე გაშვებული გოლი იყო, უფრო კი ის, რომ დანიელი თავდამსხმელები ძალიან სწრაფად თამაშობდნენ და ებრაელთა მცველები მათთან ვერაფერს გახდნენ. ერთი რამ ცხადია, იმ მატჩში შლომო შარფი ვერ აღმოჩნდა ბუ იუჰანსონის ნამდვილი ოპონენტი. აი, რა განაცხადა მატჩის შემდეგ დანიელმა მწვრთნელმა:

— დიახ, შეხვედრის დაწყებამდეც ფავორიტებად ჩვენ ვითვლებოდით, მაგრამ ასეთ შედეგს, ცხადია, არ მოველოდით. ფეხბურთში ხშირად წარმოუდგენელი რამ ხდება, ჩვენი მეტოქე ხომ ძლიერია, და მე ვღელავდი, არ ვიცოდი, საერთოდ მოვიგებდით თუ არა. ისე კი, ჩვენ იდეალურად ვითამაშეთ და საბოლოოდ დავიმსახურეთ კიდეც ის შედეგი, რომელიც ტაბლოზე აღინიშნა. ამასთან, თვითდამშვიდებას ნუ მივეცემით. ჩვენ ლამაზად უნდა დავამთავროთ შესარჩევი ტურნირი და კოპენჰაგენშიც გავახაროთ გულშემატკივრები.

ასეთი ანგარიშის შემდეგ საპასუხო მატჩის შედეგი კოპენჰაგენში, 3-0 მასპინძლების სასარგებლოდ, რა თქმა უნდა, უკვე მოულოდნელი აღარ ყოფილა და შლომო შარფიც, რომელსაც ჩაუშწარდა აქამდელი კარგი მუშაობა, გადადგა.

აქ კი სავსებით მოულოდნელი (ისე კი ჯერჯერობით სავსებით გამართლებული!) ნაბიჯი გადადგა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ. მან შლომო შარფის ნაცვლად ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვია სწორედ დანიელი, დიდი სახელის მქონე, ევროპის 1992 წლის ჩემპიონატში გამარჯვებული, სპეციალისტი რიჰარდ მიოლერ-ნილსენი. მას კონკრეტული დავალება მიეცა — მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისათვის მომზადება. ამასთან, იღბალი არ გინდათ (კარგი იღბალია ეს თუ ცუდი?), მეშვიდე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ისრაელის ნაკრებთან ერთად აღმოჩნდნენ იგივე ესპანელები (მათთან რას გახდები!) და ავსტრიელები. კიდევ ორი მონაწილეა ბოსნია და ჰერცოგოვინა და საფეხბურთო ჯუჯა ლიხტენშტეინი.

რიჰარდ მიოლერ-ნილსენმა ისრაელის ნაკრები საგრძნობლად გადაახალისა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ იგი სულაც არ არის დამოკიდებული (ზოგჯერ გათამამებულ) ლეგიონერებისაგან. მწვრთნელის დიდ მიღწევად ჩაითვალა 2000 წლის 23 თებერვალს ჰაიფის „კირიატ ელიზარის“ სტადიონზე 12 ათასი მაყურებლის თვალწინ რუსეთის ნაკრების ნამდვილ ნოკაუტში გასტუმრება — 4-1, თუმცა რუსები მასპინძლებს რეიტინგის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უსწრებდნენ. მოვუსმინოთ ცნობილ რუს მეკარე ალექსანდრ უვაროვს, რომელიც კარგა ხანია ისრაელში ცხოვრობს: „თვალშისაცემი იყო განსხვავება გუნდების მოქმედებაში: მასპინძლები თანამედროვე მანერით თამაშობდნენ, გრძელ გადაცემებს იყენებდნენ, აქტიურად მოქმედებდნენ ფრთებზე, ხისტად, ძალისმიერად, სტუმრები კი ამჯობინებდნენ მოკლე და საშუალო გადაცემებს, ცდილობდნენ ცენტრიდან გასულიყვნენ, ფრთებს ივიწროებდნენ“.

29 მარტს კი ქალაქ აშქელონში ისრაელის ნაკრებმა ფრედ — 1-1 ითამაშა საქართველოს ნაკრებთან. ქინქლაძემ 27-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ბერკოვიჩმა კი 81-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა.

ახლა კი ურიგო არ იქნება გუნდების შემადგენლობის გახსენება. ***ისრაელი:*** რ. კოენი (კორნფაინი, 46), ა. ხარაზი (ჰალფონი, 85), თალკარი, შელა, ბენადო, კეისი, ტალი, რევივო, ბადირა, ბერკოვიჩი, უდი (სივილია, 24). ***საქართველო:*** გრიშიკაშვილი (გვარამაძე, 46), სილაგაძე, დემეტრაძე (სიჭინავა, 46), ხიზანიშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ნემსაძე, ქეცბაია, ჯამარაული (მენთეშაშვილი, 73), ქინქლაძე, ა. არველაძე (ალექსიძე, 81).

2 სექტემბერს თელ-ავივში 10 ათასი მაყურებელი ესწრებოდა მასპინძლების შეხვედრას ლიჰტენშტეინელებთან. ისრაელის ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: დავიდოვიჩი, ა. ხარაზი, ტალკარი (ბენაიუნი, 66), შელახი, გერშონი, კეისი, ბანინი, ნიმნი, ტალი (ბალილი, 77), ბერკოვიჩი (ზოხარი, 81), მიზრახი. საინტერესოა, რომ ებრაელებმა უკვე მე-16 წამზე (!) გახსნეს ანგარიში (ეს ალონ მიზრახიმ გააკეთა). მეორე გოლი 79-ე წუთზე გაიტანა ბალილიმ და მასპინძლებმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე გაიმარჯვეს — 2-0.

7 ოქტომბერს ებრაელებს უკვე მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდათ მადრიდში ჯგუფის ფავორიტებთან. ესპანელები ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, პირველად უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ნაკრების მატჩი დანიშნეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც მივიდა 80 ათასი (!) მაყურებელი, მათ შორის მეფე ხუან კარლოს II. სტუმრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: დავიდოვიჩი, ჰალფონი, ტალკარი, შელახი, ბენადო, კეისი, ტალი, ნიმნი (ბენაიუნი, 65), ბადირი (ბერკოვიჩი, 75), რევივო, მიზრახი. მატჩი შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობდა ესპანელების უპირატესობით. მათ გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით — 2-0.

უკვე სამი დღის შემდეგ, 11 ოქტომბერს ისრაელის ნაკრებმა თელ-ავივში მიიღო საკმაოდ ძლიერი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის გუნდი. მის შემადგენლობაში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა: დავიდოვიჩი, ბენადო, ტალკერი, შელახი, გერშონი, კეისი (ბენ-დაიანი, 86), ტალი, რევივო, აბუქსისი, ბერკოვიჩი (ბენაიუნი, 60), მიზრახი (კატანი, 73).

ბერკოვიჩმა მე-12 წუთზე გახსნა ანგარიში. საინტერესო რამ მოხდა 48-ე წუთზე. მეკარე ნირ დავიდოვიჩი საჯარიმო მოედნიდან გამოვიდა, ბურთი თავით მოიგერია, მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოასწრო. ბურთი მიიღო აკპაროვიჩმა და 30 მეტრიდან ტექნიკური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. 62-ე წუთზე ასევე 30 მეტრიდან თავით სტუმრების კარში გოლი გაიტანა იოსი აბუკსისმა, 76-ე წუთზე კი კიდევ ერთი გოლის ავტორი გახდა ებრაელების ჭაბუკი ფეხბურთელი იანივ კატანი — 3-1. მატჩის შემდეგ მწვრთნელი მიოლერ-ნილსენი ძალიან კმაყოფილი, მაგრამ სიტყვაძუნწი იყო: „მე ბედნიერი ვარ, რომ მყავს ჭაბუკების ჯგუფი, რომელთაც ერთმანეთის მხარდასაჭერად შეუძლიათ მთელ მინდორზე თამაში“. ამის შემდეგ ისრაელის ნაკრებმა სატურნირო ცხრილში 6 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას ესპანელები ქულით უსწრებდნენ.

მეოთხე ტურის მატჩში ესპანელებმა 24 მარტს ანგარიშით 5-0 მოუგეს ლიჰტენშტაინელებს, 28 მარტს კი ისრაელის ნაკრები ვენაში პრინციპულ მატჩში ავსტრიელებს შეხვდა. ცხადია, ეს იყო ბრძოლა მეორე ადგილისათვის. სტუმრების შემადგენლობა: დავიდოვიჩი, ბენადო (მიზრახი, 57), ტალკარი, შელახი (ბრუმერი, 46), გერშონი, კეისი, ბანინი (ტალი, 72), ნიმნი, ბენაიუნი, ბერკოვიჩი, ზეითუნი. როგორც ვხედავთ, ნაკრებში დიდი ცვლილებები არც ახლა მომხდარა.

მატჩი ებრაელებისათვის იღბლიანად დაიწყო. უკვე მე-6 წუთზე მასპინძლების მცველმა ბაურმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, თუმცა, გავიდა სულ სამი წუთი და იმავე ბაურმა წონასწორობა აღადგინა. 41-ე წუთზე ჰერცოგმა პენალტით გაიტანა მეორე ბურთი, რომელიც ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ავსტრიელები რვა ქულით მეორე ადგილზე გადავიდნენ, მაგრამ მათი მწვრთნელი ოტო ბარიჩი მაინც უკმაყოფილო იყო: „დღევანდელ გამარჯვებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ღმერთსა და ჩვენს მეკარე ვოლფარტს“.

25 აპრილს ავსტრიელები მიიღებენ ლიჰტენშტაინელებს და, ცხადია, კიდევ სამ ქულას მიიმატებენ. ამასთან, ბრძოლა ამ ჯგუფში ჯერ დამთავრებული არ არის. ისრაელის ნაკრები, ახლა რომ ჩვენთან რეპეტიცია აქვს, 2 ივნისს სტუმრად ითამაშებს ლიჰტენშტაინში, 6 ივნისს კი ესპანელებს მიიღებს. ავსტრიელებსაც ხომ თელ-ავივში მოელით საპასუხო შეხვედრა.

**ბიბი ბამრეკელი**

## ბავშვთა ფეხბურთი



**ამ ბიჭუნებმა კიდევ ერთი გამარჯვებით გაამდიდრეს თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის სპორტული მიღწევები — შოთა იამანიძის ხსოვნის ტურნირში გუნდმა, რომლის მწვრთნელია ვახტანგ ბაქანიძე, პირველობა არავის დაუთმო.**

სხედან (მარცხნიდან): გიორგი ბუაძე, დათო ნადირაშვილი, თემურ ფანჩულიძე, გიორგი წურწუმია, ლაშა ოთიურიძე, ირაკლი გაგნიძე, ერეკლე ხომასურიძე, ზურაბ გოგოლაძე; დგანან: გიორგი კობიაშვილი, გიორგი ქილიფთარი, შალვა სიბაშვილი, სერგო გაჩეჩილაძე, ბაჩო ბუაძე, ირაკლი მენაღარიშვილი, შოთა ჭანტურია, მწვრთნელი — ვახტანგ ბაქანიძე.

### «მერანმა» სევასტოპოლის ტურნირი მოიგო

მეორე წელია ბონდო კაკუბავა 1984 წელს დაბადებულ ჭაბუკებს მოსკოვში წვრთნის. ქართველებით დაკომპლექტებული, რუსეთის დედაქალაქის სახელით მოასპარეზე „მერანი-გოლეადორი“ სისტემატურად თამაშობს სხვადასხვა ტურნირში და ხშირად იმარჯვებს კიდეც.

გუნდმა ახლახან, სევასტოპოლში „ხალხთა მეგობრობის“ VII საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

შეჯიბრებაში რუსეთის, უკრაინის და ბელორუსის 10 გუნდი მონაწილეობდა. „მერანი-გოლეადორი“ ათი ქულით ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრმაინს“ პენალტების სერიით 5-4 მოუგო.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ტაპის მეორე ნაბიჯი – ჟარდელი!

1993 წელს ბერნარ ტაპიმ მარსელის „ოლიმპიკს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, მერე კი ფინანსური მაქინაციებისათვის ვირის აბანოში მოხვდა. უპატრონოდ დარჩენილმა კლუბმა სწრაფი რეგრესი განიცადა და წელს საქმე იქამდისაც კი მივიდა, საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. მარსელელებმა დახმარებისთვის ისევ ტაპის მიმართეს



ჟარდელი

და იგი კლუბის დირექტორად დანიშნეს. ბერნარი ენერგიულად შეუდგა საქმიანობას და პირველი, რაც გააკეთა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ესპანელი ხავიერ კლემენტე დაითხოვა სამსახურიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტაპის მეორე სვლა – იგი თურქეთის „გალათასარაის“ მესვეურთ შეხვდა და ბრაზილიელი მარიო ჟარდელის ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა. ტაპი ფეხბურთელში თურქებს 12 მილიონ ევროს და მისი მომავალი ტრანსფერიდან 50 პროცენტს იძლევა, „გალათასარაის“ მესვეურთ კი დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს და ფრანგებს 18 მილიონს სთხოვენ. თუ მხარეები შეთანხმდნენ „ოლიმპიკი“ ჟარდელთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო თავად ბრაზილიელი წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

### არჩილს ისევ ლინენი გაწვრთნის

**გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გერმანული ბუნდესლიგის „კიოლნის“ მთავარმა მწვრთნელმა ევალდ ლინენმა კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულამდე გაიხანგრძლივა. ამრიგად, არჩილ არველაძესა და ლინენს „კიოლნთან“ ხელშეკრულება ერთდროულად დაუმთავრდებათ.**

### ნუ იჩქარებთ... ჩვენს „დამარხვას“!

უკრაინის ნაკრები მეხუთე ევროპული შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთ, თუ ძირითადი არა, ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფრით ამართლებს იმედებს. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მისი ფრე (0-0), შინ, კიევში, ბელორუსებთან, რომლებიც უსწრებენ კიდეც გათამაშების ცხრილში უკრაინელებს!

— ჩვენ გზის მხოლოდ ნახევარი გავიარეთ, წინ 5 ტურია, — აცხადებს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი, — ნუ ჩქარობთ უელსელების, ნორვეგიელების და ... ჩვენს „დამარხვას“!

### „მანიუს“ აქციები დაეცა

**ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე არმისული „მანჩესტერ იუნაიტედის“ კლუბის აქციები ერთ დღეში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგით (28,64 მლნ. დოლარი) დაეცა.**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონთა ლიგა

## მიმოხილვა

### მეოთხედფინალი. განმეორებითი მატჩები

**ვალენსია (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) 1-0 (1-2)**

**ვალენსია:** კანიზარესი, ანგლომა, აიალა (ჯუკიჩი, 49), პელეგრინო, კარბონი, მენდიეტა, ბარახა, ვისენტე, ანგულო (აიმარი, 67), ქარიუ, ხუან სანჩესი (ზაჰოვიჩი, 72).

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ე. კოული, ლორენი, ვიეირა, პარლორი (ლიუნგბერგი, 46), პირესი (კანუ, 77), ანრი, ვილტორდი.

***გოლი:*** ქარიუ (75)

***მსაჯი:*** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)




მოსახდენი მოხდა — როგორც სპეციალისტები თვლიდნენ, მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ერთბურთიანი სხვაობით მოგება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ „ნისლიანი ალბიონის“ წარგზავნილთ განადგურებული ჰქონდათ შემდეგ ეტაპზე გასვლა. „ვალენსიას“ ბედნიერება იმაშია, რომ ჰყავს უნიჭიერესი არგენტინელი მწვრთნელი ჰექტორ კუპერი, რომელმაც თავისი შეგირდები სწორი ტაქტიკით ათამაშა. ესპანელებმა სტუმრები მთელი მატჩის მანძილზე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს და რომ არა თავიანთი გოლეადორის ნორვეგიელი ქარიუს გასაოცარი უზუსტობა შეტევის დამაგვირგვინებელ ეპიზოდებში, პირველივე ტაიმში მოითავებდნენ საქმეს.

მატჩის დასკვნით ნაწილში სამართალმა მაინც ჭამა პური და ესპანელებმა ქარიუს უზადო თავურით თავიანთი სათამაშო უპირატესობა გოლად გარდასახეს. ეს მინიმალური ანგარიშიც ეყო „ვალენსიას“ ნახევარფინალში გასასვლელად.

**დეპორტივო (ესპანეთი) — ლიდსი (ინგლისი) 2-0 (0-3)**

**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი (ტრისტანი, 61), მაურო სილვა, ფრანი, ჯალმინია (ვალერონი, 68), პანდიანი (ტურუ ფლორესი, 78), მაკაი.

**ლიდსი:** მარტინი, მილზი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოვიერი, დაკური, ბატი, კიუელი (ბაკე, 77), ვიდუკა სმიტი.

***გოლები:*** ჯალმინია (9, პენ.), ტრისტანი (73).

***მსაჯი:*** სტეფანო ბრასკი (იტალია).

სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ესპანელები შინ თავს გამოიდებდნენ და ინგლისელებთან დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ ყველაფერს ილონებდნენ თითქმის უიმედო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. მართალია, ლიდსის მედგარი წინააღმდეგობა დეპორტივომ ორჯერ გატეხა, მაგრამ ეს იყო და ეს ორი გოლით მოგება საკმარისი არ აღმოჩნდა. ლიდსმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას.




**რეალი (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 3-0 (2-3)**

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალდაგო, რობერტო კარლოსი (სოლარი, 90), იერო, ელგერა, რაული, მაკმანამანი, ფიგუ (სავიო, 86), გუტი (ფლავიო კონსეისაო, 76), კარანკა, მაკელელე.

**გალათასარაი:** ტაფარელი, ჯ. ბიულენტი, ემრე, ოკანი, სუათი (ა. ბიულენტი, 46), ჟარდელი, ჰაჯი, ხასანი (არიფი, 67), ფათიხი, დ. უმითი, ემრე ასიკი.

***გოლები:*** რაული (15, 37), ელგერა (28).

***გააფრთხილეს:*** ოკანი, უმითი, ხასანი, ფათიხი, კ. ბიულენტი.

„რეალმა“ საწადელს ძალიან ადვილად მიაღწია, თუმცა მიმომხილველები დაძაბულ ორთაბრძოლას წინასწარმეტყველებდნენ. ჯერ მაკმანამანმა იუველირული გადაცემით კარის წინ დატოვა რაული, რომელმაც აკრობატულ ნახტომში გაიტანა ლამაზი გოლი, მერე აქტიურმა ელგერამ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს უზადო თავური დაუხვედრა, ბოლოს კი ისევ რაულმა გამოიჩინა თავი, რომელსაც ასისტენტობა კვლავ მაკმანამანმა გაუწია. რა დაუპირისპირეს მეტოქეს თურქებმა? პირველ რიგში უხეშობა და რომ არა არბიტრის — ფრისკის ლიბერალობა, ისინი, მინდორზე, ალბათ, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში რვანი დარჩებოდნენ.




კანს ხელოვნური სუნთქვაც კი დასჭირდა...




**ბაიერნი (გერმანია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 2-1 (2-0)**

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, კუფური, ანდერსონი, შოლი (პაულო სერჟიო, 88), ელბერი (სანტა კრუსი, 64), ეფენბერგი, იერემისი, ტარნატი, იანკერი (ციკლერი, 35), ლინკე.

**მანჩესტერი:** ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბატი (სოლსკიაერი, 78), კოული, გიგზი, კინი, სქოულზი, იორკი (შერინგემი, 66), ბრაუნი (ჩედვიკი, 85), სილვესტრი.

სტუმრების შემადგენლობაში არ იყო დისკვალიფიცირებული ბექჰემი, ხოლო მიუნხენელებმა ამავე მიზეზით მოისაკლისეს ლიზარაზუ, სამაგიეროდ, მინდორზე გამოვიდა ბრაზილიელი ელბერი, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. სწორედ მან გახსნა ანგარიში: ტარნატმა მარცხნიდან იუველირული პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა „ბაიერნის“ გოლეადორი.

ინგლისელებმა სცადეს კონტრთამაშის აწყობა, მაგრამ გერმანელთა მცველები უშეცდომოდ მოქმედებდნენ, მეკარე კანმაც დამაჯერებლად ითამაშა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მეორე გოლიც გაიტანეს — მრავალსვლიანი კომბინაცია ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა შოლმა.

მეორე ტაიმში ინგლისელები ბევრს ეცადნენ გაეტანათ თუნდაც ერთი, პრესტიჟის გოლი, მაგრამ კვლავ უშეცდომოდ მოქმედებდა მეკარე კანი, ზოგჯერ კი გერმანელებს ბედიც სწყალობდათ.

**მაშ ასე, როგორც შარშანდელ გათამაშებაში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „რეალი“ და „ბავარია“. პირველი მატჩი გაიმართება მადრიდში (1 მაისი), საპასუხო — მიუნხენში (9 მაისი). მეორე წყვილში შეხვდებიან „ლიდსი“ და „ვალენსია“. პირველი მატჩი — ინგლისში (2 მაისი), საპასუხო — ესპანეთში (8 მაისი).**

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის კალენდარი

### აღმოსავლეთის ზონა

***XIX ტური***

***3 მაისი, ხუთშაბათი***

შსს აკადემია — ასკ

***4 მაისი, პარასკევი***

კავკასიონი — ქაბუკიანი
ხალიბი — ალაზანი
თბილისი-2 — ზოოვეტი
ლოკომოტ.-3 — სამგორი
ისვენებს ცხუმი

***XX ტური***

***13 მაისი, კვირა***

სამგორი — კავკასიონი
ალაზანი — ცხუმი
ასკ — ლოკომოტივი-3
ზოოვეტი — ხალიბი
ქაბუკიანი — თბილისი-2
ისვენებს შსს აკადემია

***XXI ტური***

***20 მაისი, კვირა***

ცხუმი — ზოოვეტი
კავკასიონი — ასკ
ხალიბი — ქაბუკიანი
თბილისი-2 — სამგორი
ლოკომოტივი-3 — შსს აკადემია
ისვენებს ალაზანი

***XXII ტური***

***24 მაისი, ხუთშაბათი***

შსს აკადემია — კავკასიონი
სამგორი — ხალიბი
ზოოვეტი — ალაზანი
ასკ — თბილისი-2
ქაბუკიანი — ცხუმი
ისვენებს ლოკომოტივი-3

### ცენტრალური ზონა

***XIX ტური***

***4 მაისი, პარასკევი***

საბურთალო — მრეტები
ოლიმპიკი — ვარძია
დინამო-2 — ს.ა. იბერია
დილა-2 — მესხეთი
ამირანი — ვალენსია
ისვენებს ვიტ ჯორჯია-2

***XX ტური***

***13 მაისი, კვირა***

ვალენსია — საბურთალო
ვარძია — ამირანი
ს.ა. იბერია — ოლიმპიკი
მესხეთი — დინამო-2
მრეტები — ვიტ ჯორჯია-2
ისვენებს დილა-2

***XXI ტური***

***19 მაისი, შაბათი***

საბურთალო — ვარძია
ისვენებს მრეტები

***20 მაისი, კვირა***

ოლიმპიკი — მესხეთი
დინამო-2 — დილა-2
ამირანი — ს.ა. იბერია
ვიტ ჯორჯია-2 — ვალენსია

***XXII ტური***

***24 მაისი, ხუთშაბათი***

ვარძია — ვიტ ჯორჯია-2
ს.ა. იბერია — საბურთალო
დილა-2 — ოლიმპიკი
მესხეთი — ამირანი
ვალენსია — მრეტები
ისვენებს დინამო-2

### დასავლეთის ზონა

***XIX ტური***

***4 მაისი, პარასკევი***

მზიური — მერცხალ..
სულორი — დინამო სოხ.
სალხინო — სამეგრელო
დინამო-2 ბათ. — ლაზიკა
გურია-2 — კოლხეთი-2
ინტერი — სქური

***XX ტური***

***13 მაისი, კვირა***

მერცხალი — გურია-2
კოლხეთი-2 — დინამო-2 ბათ.
ლაზიკა — სალხინო
სამეგრელო — ინტერი
სქური — სულორი
დინამო სოხ. — მზიური

***XXI ტური***

***18 მაისი, პარასკევი***

დინამო სოხ. — მერცხალი

***20 მაისი, კვირა***

სალხინო — კოლხეთი-2
ინტერი — ლაზიკა
დინამო-2 ბათ. — გურია-2
მზიური — სქური
სულორი — სამეგრელო

***XXII ტური***

***24 მაისი, ხუთშაბათი***

მერცხალი — დინამო-2 ბათ.
გურია-2 — სალხინო
კოლხეთი-2 — ინტერი
ლაზიკა — სულორი
სამეგრელო — მზიური
სქური — დინამო ოხ.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## დიდი მწვრთნელები

# მარჩელო ლიპის „დიდი დასვენება“

**52 წლის მარჩელო ლიპის მეტისმეტად დიდი შესვენება გამოუვიდა. დაიწყო თუ არა 2000-2001 წლების სეზონი, მყისვე გაანთავისუფლეს მილანის „ინტერის“ მწვრთნელის თანამდებობიდან. ახლა ახალ სეზონს უნდა უცადოს. მარჩელო ლიპის ესაუბრება პარიზის ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტი ფრანკ სიმონი.**



● ***სინიორ ლიპი, რას აკეთებთ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის შემდეგ? რა გეგმები გაქვთ?***

— მე ვიარეჯოში ვცხოვრობ, ბალნეოლოგიურ კურორტზე ტოსკანაში, ტირენის ზღვის სანაპიროზე. ვაღმერთებ ზღვას, მიყვარს თევზაობა. დროდადრო „საზოგადოებაში“ გამოვდივარ, ცხადია, გარკვეულ დროს სპორტსაც ვუთმობ. დავდივარ ველოსიპედით. პირადი ვარჯიშისათვის, სულაც არ ვაპირებ „ტურ დე ფრანსზე“ ან „ჯირო დ'იტალიაში“ მონაწილეობას. კვირაში ერთხელ მე და ჩემი მეგობრები ფეხბურთს ვთამაშობთ. უამისობა არაფრით არ შემიძლია. დანარჩენ დროს ოჯახს ვუთმობ, ვეწვევი ხოლმე ჩემს ქალიშვილს, რომელიც რომში ცხოვრობს, შვილი უნდა შეეძინოს. ისე, რომ, მალე პაპა გავხდები! გარდა ამისა, ასეთმა გრძელმა „არდადაგებმა“ ცოტაოდენი მოგზაურობის საშუალებაც მომცა.

● ***ძნელია თქვენი წარმოდგენა ფეხბურთის მინდვრის გარეთ, მაგრამ ახლა, როცა არ მუშაობთ...***

— მართალი ბრძანდებით, ჩემი ცხოვრება აქტიური საფეხბურთო საქმიანობის გარეშე არაფერს წარმოადგენს. ამას მე არა ვთვლი, რომ გამოთიშული ვარ საქმიანობისაგან. პერიოდულად ვეწვევი ხოლმე სხვადასხვა კლუბის სავარჯიშო ცენტრებს, ჩემს მეგობარ მწვრთნელებს. ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელების ჯგუფს, მინდა მათ ჩემს მომავალ გუნდში ითამაშონ, როგორიც არ უნდა იყოს იგი. მე ვსწავლობ მათ შესაძლებლობებს, ბლოკნოტში ალვნიშნავ ხოლმე ძლიერ და სუსტ მხარეებს.

● ***დიდ საკვირაო ფეხბურთთან უშუალო შეხება მაინც რომ არა გაქვთ...***

— დიახ, არა მაქვს, მაგრამ, როგორც მეთვალყურე, არც ერთ მატჩს არ გამოვტოვებ ხოლმე. მე, მართალია, ახლა უშუალოდ სტადიონზე არ დავდივარ, მაგრამ ყოველთვის ვადევნებ თვალს სატელევიზიო რეპორტაჟებს პარასკევობით „სერია B“-ს მატჩებს ვადევნებ თვალს, შაბათს სადილის შემდეგ ჯერ კვირიდან გადმოტანილ ერთ შეხვედრას, საღამოთი კი მეორეს, კვირას ასევე ორ მატჩს, ერთს დღისით და ერთს — ღამით. ორშაბათს, კვლავ „დეჟიუსტივ“, როგორც ამბობენ ფრანგები — „სერია B“. 6 მატჩი 4 დღეში დიდი შთაბეჭდილების მიღების საშუალებას მაძლევს. აი, მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, ამის საშუალება ნამდვილად არა მქონდა.

● ***ერთი სიტყვით, „ინტერიდან“ განთავისუფლების შემდეგ სულაც არ აგიღიათ ხელი თქვენს საქმიანობაზე.***

— ოქტომბერში რომ მომიხდა „ინტერთან“ გამოთხოვება, მე ვუთხარი ჟურნალისტებს, რომ მეტად აღარ ვაპირებდი ფეხბურთით თავის გამოტენას. მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი და მივხვდი, რომ მოვატყუე თქვენი კოლეგები. კვლავ დავიწყე ფიქრი თამაშზე, იმაზე, რას შეიძლება კიდევ მივაღწიო მწვრთნელის ასპარეზზე. ამაზე ყოველდღიურად ვფიქრობ. ასეთია თითქმის ორმოცწლიანი ჩვევის ძალა. გულახდილად გეტყვით, მე ვიგრძენი, ჩემთვის არ არსებობს იმაზე მეტი სიამოვნება, რაც დღის ვარჯიშით დაწყება, მოთამაშეებთან ურთიერთობა. არ დაგიმალავთ, გადადგომამ სულის მოთქმის საშუალება მომცა, დავისვენე, რაზეც ბოლო წლებში დიდხანს ვოცნებობდი. დიახ, მაგრამ უკვე ორი თვის შემდეგ ისევ ფეხბურთზე დავიწყე ფიქრი.

● ***ისევ იტალიას დავუბრუნდეთ, კერძოდ კი „სერია A“-ს, რომელსაც თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალს, იმის მიუხედავად, რომ დროებით საქმეებს ჩამოშორდით. რომელ გუნდს აქვს, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო დასაბუთებული საჩემპიონო ამბიციები?***

— გარკვეულად ლოგიკურია, რომ „სკუდეტოსათვის“ იბრძვიან „რომა“, „იუვენტუსი“ და „ლაციო“. ყველა დანარჩენმა წამყვანმა კლუბმა გადაიტანა ან ახლაც განიცდის მწვავე სამწვრთნელო კრიზისს. „ლაციომაც“, მართალია, ვერ დააღწია თავი ამ ამბავს, მაგრამ იგი ხომ მესამეა, შუა ჩემპიონატში ბევრი ქულა დაკარგა.

● ***მწვრთნელების პრობლემასა და გადაადგილებებს კვლავაც რომ შევეხოთ, ისიც ვთქვათ, თქვენი კოლეგა არიგო საკი იძულებული გახდა „პარმაში“ მუშაობაზე ხელი აეღო. დანიშვნიდან სულ ორი კვირის შემდეგ, რახან ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. მისმა გადაწყვეტილებამ არ შეგაშინათ?***

— ძალიანაც კი შემაშინა. ის, რაც საკის მოუვიდა, მართლაც საშინელია. ვიცი, როგორი იმედები ჰქონდა მას, როცა „პარმას“ წინადადება მიიღო და აქტიურ ფეხბურთს დაუბრუნდა. მაშინ შევხვდი მას, ისეთი განწყობილება ჰქონდა, ბიჭი რომ პირველ კლასში პირველად წავა და აი სულ რამდენიმე კვირის შემდეგ იძულებული გახდა თეთრი ბაირაღები გამოეფინა. მე ამან მეტად წამიხდინა გუნება. ჩვენი პროფესია ხომ ნამდვილი ბედნიერებაა, რა არის იმაზე უარესი, მას რომ დაკარგავ. ამავე დროს მწვრთნელის პროფესია სულ უფრო და უფრო რთული ხდება, უდიდეს დაძაბულობაში გამყოფებს. ჩვენ უსასტიკესი პრესის ქვეშ ვიმყოფებით, დაუყოვნებლივ შედეგებს გვთხოვენ, ყველაზე მაღალ დონეზე... მიუხედავად ამისა, მე მაინც ვამტკიცებ, რომ ჩვენი სამუშაო, მიუხედავად უზარმაზარი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაძაბულობისა, ეს არის სუპერსამუშაო. ყველაზე რთული ის კი არ არის, მონახო სამუშაო, რასაც მთელ ძალებს მოანდომებ და სიამოვნებას მიიღებ, არამედ მისი შენარჩუნებაა.

● ***თქვენ აქამდე, თუ ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩს არ გავითვალისწინებთ, არა გქონიათ შემთხვევა გემუშავათ ეროვნულ ნაკრებთან. შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ეს არის ის სამუშაო, რომელზეც ოცნებობთ.***

— შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ ვიმუშაო კიდეც.. რატომაც არა? ეს სამწვრთნელო მუშაობა მართლაც საინტერესო ნაირსახეობა გახლავთ . ჯერჯერობით კი მე ვგრძნობ, რომ კლავინდებურად რომელიმე კლუბში მინდა მუშაობა, გუნდის შექმნა, მოთამაშეების აღზრდა კიდევ რამდენიმე სეზონის მანძილზე, შემდეგ კი ვნახოთ.

● ***ვილაპარაკოთ ყველაზე უფრო მაღალი დონის ფეხბურთზე, ცხადია, საფრანგეთზე. ცნობილია, რომ თქვენ ყოველთვის გაინტერესებდათ ფრანგული ფეხბურთი, ყურადღებით აკვირდებოდით მას...***

— დიახ, სწორია. შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც კარგად ვიცნობ ფრანგულ ფეხბურთს. ფრანგულ საფეხბურთო ფედერაციასთან ფართო კონტაქტი მაქვს, ახლო ურთიერთობა კი ემე ჟაკესა და როჟე ლემერთან. თუ საფრანგეთში შექმნილ საფეხბურთო სიტუაციაზე ვილაპარაკებთ, აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ახალგაზრდებთან მუშაობის უმაღლესი დონე. ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით საფრანგეთი მსოფლიო ფეხბურთის ნამდვილი ლიდერია.

● ***ამასთან, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების უმრავლესობამ „სპეციალიზაცია“, რომ იტყვიან, სწორედ თქვენი ხელმძღვანელობით გაიარა „იუვენტუსსა“ და „ინტერში“...***

— თქვენ გნებავთ ვისაუბროთ ზინედინ ზიდანზე, დიდიე დეშამსა და ტიერი ანრიზე? დიდიე და ზიზუ — ესენი, უბრალოდ რომ ვთქვათ, მშვენიერი ფეხბურთელებია. ყველა — სათამაშო, ტექნიკური, ადამიანური თვალსაზრისით. მე ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მქონდა მათთან მემუშავა, არაერთგზის მიმემართა ამ ადამიანებისათვის სულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

● ***2000 წლის „ოქროს ბურთი“, „ფრანს ფუტბოლმა“ პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს მიაკუთვნა. რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— ფიგუს თანამედროვე ფეხბურთელის ყველა საუკეთესო ღირსება აქვს. ამასთან, ვფიქრობ, რომ შარშან ზიდანი ამ აღიარებას არანაკლებ იმსახურებდა. ეტყობა, ზიზუ იმიტომ დასაჯეს, რომ „ჰამბურგის“ ფეხბურთელს სახეში თავი გაარტყა. უკანასკნელ წლებში, ხომ ზიდანი განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა თვით მოქმედებს. ხომ გახსოვთ მისი ორი ფენომენური თავური დარტყმა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, ახლა კი მეტისმეტად წამგებიანი თავური ჩემპიონთა თასის მატჩში ჰამბურგში!

● ***რას იტყვით ტიერი ანრიზე, რომელიც ასევე თამაშობდა ტურინის „იუვენტუსში“ თქვენი ხელმძღვანელობით?***

— მე მასთან სულ სამ თვეს [illegible] და მაშინ სრული წარმოდგენა არა მქონდა. ამასთან, საინტერესო იყო ანრისთვის თვალყურის დევნება, რადგან სწორედ კარიერის ისეთ პერიოდში იმყოფებოდა, როცა ნამდვილი ოსტატი ყალიბდება. ახლა იგი უკვე დასრულებული, ჩამოყალიბებული, ძლიერი ოსტატია. ჩემი აზრით, მას ბევრის მიღწევა შეუძლია, ამასთან, ნებისმიერ ქვეყანაში.

● ***„ინტერში“ რომ გადახვედით, ლორან ბლანს შეხვდით — ფრანგული ფეხბურთის კიდევ ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს.***

— ლორანი უდიდესი ოსტატია! ჩვენ ყოველთვის შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა. იმის მიუხედავად, რომ იგი იტალიელი არ არის, არც ისე დიდი ხანია, რაც „სერია A“-ში გამოდის, არც თუ ბოლომდე გაერკვა იტალიური საკლუბო ფეხბურთის საკითხებში, მაინც ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ ვსაუბრობდით. სწორედ მასთან განვიხილავდით კლუბში შექმნილ სიტუაციას. ლორანი, ისევე როგორც დიდიე დეშამი, ყოველთვის გუნდის ლიდერად რჩება, მაშინაც კი, როცა საზღვარგარეთ გამოდის. „ინტერში“, მართალია, ბევრი ფრანგი იყო: ბენუა კოჟე, უსმან დაბო, ზუმანა კამარა, მიქაელ სილვესტრი ჩემი აზრით, ბლანი კლუბში ერთადერთი ფრანგიც რომ ყოფილიყო, მაინც საყოველთაო ავტორიტეტს მოიპოვებდა, ყველა გადაწყვეტილების მიღებაში მიიღებდა მონაწილეობას.

● ***თქვენ კარგად იცნობთ და ჯეროვნად აფასებთ ფრანგულ ფეხბურთს, მის წამყვან წარმომადგენლებს. კლუბებზე რაღას გვეტყვით?***

— დროგამოშვებით მე თვალყურს ვადევნებ ფრანგულ კლუბებს როგორც ევროპულ თასებზე, ისე ეროვნულ ჩემპიონატში. აი, აქ კი რაიმე ალტაცებული შეფასებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მაგრამ ნუ გაგვიკვირდება, ყოველწლიურად ხომ საფრანგეთს ათობით საუკეთესო ფეხბურთელი ტოვებს, ამასთან, მათ შორის უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდებიც არიან? ისე კი, ახლა არც იტალიური საკლუბო ფეხბურთია მაღალ დონეზე. ვფიქრობ, რომ ის შესაძლებლობები, რომელიც იტალიურ კლუბებს აქვთ, მათ საშუალებას მისცემს დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. იმედი მაქვს, რომ უშუალოდ მივიღებ ამ პროცესში მონაწილეობას.

მოამზადა **ბიჭი თორელმა**

## ხდება. ყველაფერი ხდება...

### „არსენალმა“ სასამართლო პროცესი წააგო

**ლონდონის „არსენალის“ ფანატმა მოიგო სასამართლო პროცესი, რომელიც მან თავისი საყვარელი კლუბის წინააღმდეგ აღძრა. საქმე იმაშია, რომ მომჩივანს ხსენებულმა საფეხბურთო კლუბმა მოსთხოვა შეეწყვიტა „არსენალის“ წარწერით კაშნეს და საფეხურთო მაისურის გაყიდვა. კლუბი ამტკიცებდა, რომ ეს სავაჭრო მარკა მისი კუთვნილებაა. სასამართლომ კი დაადგინა, რომ სიტყვა „არსენალი“ ინგლისში საერთო სარგებლობისაა და მისი მისაკუთრების უფლება არც საფეხბურთო კლუბს აქვს.**

**„არსენალის“ ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებას ევროპის სასამართლოში გაასაჩივრებს.**

### 100-ზე მეტი მანქანა საჩუქრად ფეხბურთელებს

მას შემდეგ, რაც საუდის არაბეთის ორმა გუნდმა არაბეთის სუპერთასის ფინალში გააღწია, პრინცმა ალ ვალიდა იბნ ტალალამ განაცხადა, რომ ფეხბურთელებს 100-ზე მეტ მდიდრულ მანქანას ჩუქნის. დავძენთ, რომ პრინცი 20 მილიარდი დოლარის ქონების პატრონია.

### 34 ათასი დოლარი საჩუქრად ვინც ჩაწყობილ მატჩზე ინფორმაციას გასცემს

**ვიეტნამის ხელისუფლება აგრძელებს ჩაწყობილი საფეხბურთო მატჩების აღსაკვეთ კამპანიას. უცხოელი მსაჯების მოწვევის გარდა, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 34 ათას დოლარს მიიღებს საჩუქრად, ვინც ხელისუფლებას სარწმუნო, ანდა, ხელმოსაკიდ ინფორმაციას მიაწვდის ჩაწყობილი მატჩების თაობაზე.**

### ფეარ-ფლეი ფრანგულად

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტური პატიოსანი თამაშის ტურად გამოცხადდა. ქვეყნის ფედერაციამ ფეხბურთელებს მოსთხოვა მინდორზე გამოსულიყვნენ მაისურზე წარწერით: „მშვიდობა საფეხბურთო მოედნებზე!“ გუნდების კაპიტნები კი აიძულეს მატჩის წინ ხმამაღლა წაეკითხათ მიმართვა თანაგუნდელებისათვის ეთამაშათ პატიოსნად და სუფთად. ტურის მონაცემების შეჯამების შემდეგ სტატისტიკოსები გაოცებულნი დარჩნენ: 42 გაფრთხილება, 2 გაძევება, 6 პენალტი — ასეთი იყო შედეგი. ეს ტური დარღვევების სიუხვით მეორე აღმოჩნდა მიმდინარე სეზონში.

### „ჰერტას“ მწვრთნელი ორიგინალობს...

**ბერლინის „ჰერტას“ მწვრთნელმა იურგენ რებერმა მოთამაშეთა ეფექტიანობის ამაღლების უცნაური მეთოდი მოიგონა: ფეხბურთელი, რომელიც ზუსტად არ ასრულებს მის მითითებებს და თამაშში შეცდომას დაუშვებს, 5.000 მარკით ჯარიმდება. პირველი მსხვერპლი გახდა მცველი მარკო რემერი, რომელიც „ვერდერთან“ მატჩში შეცდა. „ჩვენ 24 გოლი მივიღეთ საჯარიმოდან. ამის შემდეგ, ვინც შეცდება ასეთ სიტუაციაში მატერიალურად ზღავს“. — ამ სიტყვებით დაიწყო თავისი ახალი მეთოდის დანერგვა გუნდში „ჰერტას“ მწვრთნელმა.**

### თავტიტველა ფეხბურთელებს უფრო ხშირად აჯარიმებენ

ინგლისში არის ასეთი ფირმა — „ოპტა“, რომელიც გამოწვლილვით აანალიზებს საფეხბურთო მატჩებს. ამ ფირმის მონაცემებით ყოველი ათი ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელიდან 7 ნაწილობრივ ან მთლად მელოტია ან თავგადაპარსული. პრემიერ-ლიგის ყოფილი მსაჯი კევინ ლუნჩი ამტკიცებს, რომ აქ გასაკვირი არაფერია: მსაჯის თვალთახედვის არეში უფრო ხშირად ხვდება თავტიტველა ფეხბურთელი და, ცხადია, მის ყველა დარღვევასაც მსაჯი სხვებისაზე მეტად ამჩნევს. აი, თურმე რატომ ჰქონიათ თავტიტველებს აგრესიული ფეხბურთის იმიჯი.

### რას არ მოიფიქრებს კაცი

**ვინმე მარტინ მეჩანმა რეგისტრაციაში გაატარა „შპს ბრუკლინ ბექჰემი“. ბრუკლინი დევიდ ბექჰემის ვაჟიშვილის სახელია. არ გაინტერესებთ ჩანაფიქრი? ფირმა საერთოდ არ იმუშავებს. დამფუძნებელს იმედი აქვს, რომ გაყიდის მას და მყიდველი უთუოდ ბექჰემების ოჯახი იქნება. არც დიდ თანხას ითხოვს — ყაბულსაა შპს თუნდაც წლიური საფეხბურთო აბონემენტისთვის დათმოს. რას აგებს — ფირმის რეგისტრაციაში სულ რაღაც 42 ფუნტი გადაუხდია ნოვატორს.**



ბექჰემი თავის ვაჟიშვილ ბრუკლინთან ერთად

### ფეხბურთელს სტრიპტიზი ძვირად დაუჯდა

ცნობილია, ფეხბურთელს, რომელიც გოლის გატანის შემდეგ თავზე გადაიცვამს მაისურს — სჯიან. ბრაზილიაში ერთმა ფეხბურთელმა, რომლის სახელია ფარიასი, ემოციის გამოხატვის ახალ ხერხს მიმართა — ტრუსი გაიხადა და ტრიბუნებზე მოისროლა. მსაჯს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ფეხბურთელი კი ტრიბუნებზე აიჭრა ტრუსის უკან დასაბრუნებლად, რათა თამაში გაეგრძელებინა, გზად პოლიციამ დააკავა და სტადიონიდან განყოფილებაში წაიყვანა. ფარიასი „პუბლიკის შეურაცხმყოფელად“ სცნეს. სასამართლოში მას 6 თვით ციხეში გამომწყვდევის განაჩენი ემუქრება.

### ჯერ „სკამი“ დაატოვებინეს, ახლა ტრიბუნიდანაც აძევებენ

**მატჩის მიმდინარეობის დროს რომ მწვრთნელი მეტად ღელავს, ეს ცხადია. ყველასათვის ცნობილი ამბავია, რომ შვეიცარიელთა მწვრთნელი ენცო ტროსერი მეტისმეტად ემოციური ადამიანია, მაგრამ ისე იქცევა, ყოველგვარ საზღვრებს „ლახავს“. ამას წინათ იუგოსლავიის ნაკრებთან შეხვედრაში (1-1) მან იმდენი იყვირა, რომ მოთმინებიდან გამოიყვანა შვედი მსაჯი კ.ე. ნილსონი. როგორც კი იუგოსლავებმა ანგარიში გახსნეს, ტროსერომ სრულიად დაკარგა წონასწორობა. მსაჯმა დაატოვებინა მას სათადარიგოთა სკამი და ტრიბუნებზე გაისტუმრა. ტროსერომ ტრიბუნებზეც იჩხუბა გულშემატკივრებთან და ახლა შემდეგ მატჩზე სტადიონზე შესვლის უფლებაც დაკარგა.**

### დიახ, ნერვები ვეღარ მოთოკა

ჩვენი გულშემატკივრები უდავოდ მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, განთქმული (№1 მწვრთნელი ევროპაში შარშანდელი კვალიფიკაციით) ვალერი ლობანოვსკი ხშირად ავადმყოფობს, აცდენს შეკრებებსა და მატჩებსაც კი.

ამას წინათ, მთლად უცნაური ამბავიც კი მოხდა: ლობანოვსკიმ ვეღარ გაუძლო უელს უკრაინის მატჩის ყურებას, დაჰკრა ფეხი და შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე დატოვა თავისი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში

# დიდი ქართული „დესანტი“ ვარშავაში

21 აპრილს ვარშავაში იწყება ევროპის მეორე ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. მას შარშან ჩაეყარა საფუძველი, როცა ბათუმში ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით წარიმართა და უკრაინელი დიდოსტატის ნატალია ჟუკოვას გამარჯვებით დამთავრდა.

ამჯერად მოჭადრაკეები შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ითამაშებენ, რაც უფრო მიესადაგება ასეთი მაღალი დონის შეჯიბრებას. ჩემპიონატი პოლონეთის საჭადრაკო ფედერაციის დაარსებიდან 75 წლისთავს ეძღვნება და მისი საპრიზო ფონდი 50 ათასი გერმანული მარკაა. მონაწილეები პრესტიჟულ სასტუმრო „მარიოტში“ იცხოვრებენ. დროის კონტროლი ასეთია: 75 წუთი პირველ 40 სვლაზე და შემდეგ 15 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის ავტომატური დავალებით. 29 გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. ამასთან, მონაწილეთა რაოდენობა ერთი ფედერაციიდან შეზღუდული არ არის.

ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ვარშავაში არ ითამაშებს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს ჩემპიონატიდან ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვეს საერთაშორისო ოსტატებმა ლელა ჯავახიშვილმა, 14 წლის ნანა ძაგნიძემ და ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა, ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ. ვარშავაში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეების დიდი ჯგუფი მიემგზავრება: დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ხურციძე, ნინო გურიელი, მაია ლომინეიშვილი, თამარ ხმიადაშვილი, საერთაშორისო ოსტატი ანა მათნაძე, ნორჩი მოჭადრაკეები სოფიკო გვეტაძე და სოფიკო ხუხაშვილი. მოსალოდნელია, რომ ვარშავაში პრაღიდან ჩავა ამ ბოლო წლებში ჩეხეთის დედაქალაქში მცხოვრები ნანა იოსელიანი, ედინბურგიდან (შოტლანდია) კი ქეთევან არახამია. ეტყობა ითამაშებენ აგრეთვე ქეთევან კახიანი (გერმანია), თეა ლანჩავა (ჰოლანდია), ჰენრიეტა ლაგვილავა (ბელორუსია)...

ევროპის ჩემპიონატში კონტინენტის არაერთი წამყვანი დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას.

საინტერესოა, რამდენი ქართველი შეძლებს მოხვდეს იმ საუკეთესო 29 მოჭადრაკეს შორის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს დაეუფლებიან.

## ასეთია «ლელოს» ათეული

ამ მოკლე ხანში მოსკოვის ჟურნალი „64“ გამოაქვეყნებს თავისი ყოველწლიური რეფერენდუმის შედეგებს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი საჭადრაკო ექსპერტები და ჟურნალისტები მონაწილეობენ. ისინი ასახელებენ წლის №1 მოჭადრაკეს, რომელსაც „64“-ის რედაქცია მის მიერ დაწესებულ პრიზ „ოსკარს“ გადასცემს. ასეთ რეფერენდუმებში სისტემატურად იმარჯვებდა გარი კასპაროვი, თუმცა, ერთხელ პირველობა მან ვიშვანათან ანანდს დაუთმო.

ახლა 2000 წლის №1 მოჭადრაკის გამოვლენის დრო დადგა. ამასთან დაკავშირებით „ლელომ“ „64“-ის რედაქციას გაუგზავნა „წლის მოჭადრაკეების“ საკუთარი ათეულის სია, რომელიც ასე გამოიყურება: 1. გარი კასპაროვი, 2. ვლადიმირ კრამნიკი, 3. ვიშვანათან ანანდი, 4. ალექსეი შიროვი, 5. ვასილი ივანჩუკი, 6. ალექსანდრ მოროზევიჩი, 7. მაიკლ ადამსი, 8. პეტერ ლეკო, 9. ბორის გელფანდი, 10. ალექსანდრ ხალიფმანი.

## ჰოკეისტთა სამყაროში სკანდალია

გერმანიაში დიდი სკანდალია — ტელეჟურნალისტებმა გამოიძიეს, რომ ქვეყანაში რეგისტრირებული ჰოკეისტების ნახევარზე მეტი ხელფასს ე.წ. შავი სალაროდან იღებენ. როგორც გაირკვა, სპორტსმენები კლუბებთან აფორმებენ ჩვეულებრივ და საიდუმლო, დამატებით კონტრაქტებს. საიდუმლო ხელშეკრულებებით მოთამაშეების ხელფასს ნაღდი ფულით ისტუმრებენ და თან აფრთხილებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიტანონ თანხა ბანკში, რათა არ დარჩეს „ქაღალდის კვალი“. ასეთი ორმაგი ბუღალტერიი: კლუბები დიდძალ ფულად სახსრებს ზოგავენ, ვინაიდან არ იხდიან სახელმწიფო გადასახადებს. პოლიციამ დაიწყო საქმის გამოძიება.

**რა ხდება ქვეყანაზე**

## ფეხბურთზე უფრო „ფორმულა-1“ პყვარებიათ




თუ რას ნიშნავს გერმანელებისათვის „ფორმულა-1“ და რა თქმა უნდა, მიხაელ შუმახერი, ამას მოწმობს ქ. კიოლნის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების გამოკითხვის შედეგების მონაცემები. გაირკვა, რომ გერმანიაში „ფორმულა – 1“-ის გულშემატკივრები სჭარბობენ ფეხბურთის ფანატებს.

ამ გამოკითხვის მიზეზი ის გამხდარა, რომ იაპონიის კონცერნ „ტოიოტას“, რომლის გუნდს მერმისს დებიუტი ექნება „დიდი პრიზების“ გათამაშებაში, განუზრახავს მსოფლიო სამგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის ყიდვა და სამი წლის შემდეგ უმაღლესი ტიტულის მოპოვება! ამ სიახლემ გერმანიაში დენთივით იფეთქა... და სათანადო რეაგირებამაც არ დააყოვნა.

ტურინის Tuttosport-ის ცნობით, „ტოიტა“ შუმახერს, რომელიც ახლა წელიწადში 50 მილიონ მარკას იღებს, სთავაზობს თავად განსაზღვროს ხელფასი, კონტრაქტის ხანგრძლივობა, აგრეთვე თავი მოუყაროს გუნდის ტექნიკურ პერსონალს.

## ხდება, ყველაფერი ხდება...

### ანა კურნიკოვა თქვენს ოჯახში

ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ გადაწყვიტა გამოუშვას ვიდეოკასეტა, სადაც ჩაწერილი იქნება აერობიკაში კურნიკოვას საფირმო ვარჯიშები. ჩოგბურთელი თავად მოუთხრობს მაყურებელს თუ როგორ ივარჯიშოს, როგორ შეინარჩუნოს ტანადობა, ტონუსი და ა.შ.

### შტეფი გრაფი სახელს იცვლის

„დიდი შლემის“ 22 ტიტულის მფლობელი შტეფი გრაფი აცხადებს, რომ იგი სახელს იცვლის და სტეფანი გახდება. ამასთან, შეიცვლება მისი ყველა კომპანიონისა და ფირმის დასახელება, სადაც სახელი შტეფი ფიგურირებს. შტეფს სტეფანით შეცვლიან ჩოგბურთელის საიტშიც.

## ტოტო ლოტო №14 ტირაჟის შედეგები 14-15.04.2001

**ლოტო 6-42** 5 19 22 28 32 33

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 5585.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 398.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 3 x | 46.80 ლარი | |
| 3 რიცხვი | 137 x | 1.70 ლარი | |

**სუპერ 7** 8 0 8 1 3 0 2

| | | | |
|---|---|---|---|
| 8081302 --- | 50,000 ლარი | 302 --- | 50 ლარი |
| 081302 --- | 15,000 ლარი | 02 --- | 3 ლარი |
| 81302 --- | 5,000 ლარი | 2 --- | 0.50 ლარი |
| 1302 --- | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი** 2 1 1 2 1 2 2 1 2 X 1 X

12 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 19940.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 1 x | 376.90 ლარი | |
| 10 შედეგი | 4 x | 94.20 ლარი | |

მე-15 ტირაჟის პროგრამა (21-22. 04. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ლესტერი – მიდლსბრო | 60-20-20 |
| 2. | ინგ. | ვესტ ჰემი – ლიდსი | 20-40-40 |
| 3. | ინგ. | ბრედფორდი – დერბი | 30-40-30 |
| 4. | იტ. | უდინეზე – რომა | 20-20-60 |
| 5. | იტ. | პერუჯა – ატალანტა | 30-30-40 |
| 6. | იტ. | ლეჩე – მილანი | 20-40-40 |
| 7. | გერ. | აინტრახტი – ბაიერნი | 20-30-50 |
| 8. | გერ. | ფრაიბურგი – კაიზერი | 30-40-30 |
| 9. | გერ. | ჰანზა – კიოლნი | 30-40-30 |
| 10. | ესპ. | ოვიედო – ვალენსია | 20-20-60 |
| 11. | ესპ. | სელტა – დეპორტივო | 30-30-40 |
| 12. | ესპ. | ოსასუნა – ბარსელონა | 20-30-50 |

**ტოტო ფეხბურთი** 2 1 X 1 2 2 2 X 1 1 2

11 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 308.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 153.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 1 x | 34.30 ლარი | |

მე-15 ტირაჟის პროგრამა (21-22 04 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | შალკე – ჰერტა | 40-30-30 |
| 2. | გერ. I | აინტრახტი – ბაიერნი | 20-30-50 |
| 3. | გერ. I | ლევერკუზენი – ჰამბურგი | 50-30-20 |
| 4. | გერ. I | ფრაიბურგი – კაიზერი | 30-40-30 |
| 5. | გერ. I | მიუნხენ 1860 – შტუტგარტი | 40-30-30 |
| 6. | გერ. I | ვერდერი – ვოლფსბურგი | 40-30-30 |
| 7. | გერ. I | ჰანზა – კიოლნი | 30-40-30 |
| 8. | გერ. I | კოტბუსი – უნტერჰახინგი | 40-30-30 |
| 9. | გერ. II | ზანქტ პაული – ობერჰაუზენი | 50-30-20 |
| 10. | გერ. II | კიკერსი – ფიურტი | 30-40-30 |
| 11. | გერ. II | არმინია – ჰანოვერი | 40-30-30 |

**სპორტული ლოტო №14 ტირაჟის შედეგები 15.04.2001**

| ბურთი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 3 | 10 | 13 | 21 | 5 | 18 | 19 | 1 | 8 | 24 |
| ბურთი | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| [illegible] | 7 | 15 | 4 | 9 | 2 | 23 | 22 | 6 | 14 | 20 |
| [illegible] | | 10,000 | 1,000 | 300 | 30 | 10 | 5 | 3 | 1 | 2 |

[illegible]: 12 11 16 17

სიდა აკოფიანი (თბილისი) თემურ მიქელაძე (თბილისი)

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 აპრილი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. უეფას თასის ნახევარფინალი (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (14.00), ტაილანდური კრივი (18.15), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (1.15), ***ESPN.*** აშშ-ის ფეხბურთი (7.00, 01.00), კალათბურთი. ნბა (11.30, 19.00). ფეხბურთი. ინგლისის (12.00), იტალიის (23.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (13.00, 20.00), კალათბურთი. ევროლიგა (22.30), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ფეხბურთი (15.10), ჩემპიონთა ლიგის (15.40), ესპანეთის (18.40), ევროპის ქვეყნების (20.00), ჰოლანდიის (20.45, 23.10), იტალიის (1.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**21 აპრილი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „დინამო“ – „ვიტ-ჯორჯია“ (16.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.45), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი (11.40), კრივი. „დიდი რინგი“ (21.40), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (12.30, 21.30), ფეხბურთი. ინგლისის (16.00, 19.00, 21.00, 06.30), იტალიის (0.00 პირდაპირი) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის (15.40), ესპანეთის (18.40), ჰოლანდიის (20.45, 23.10), იტალიის (1.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**22 აპრილი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.10), ***НТВ плюс спорт.*** მოტორბოლა ყინულზე. მსოფლიო ჩემპიონატი. პირადი პირველობა (20.00), კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი (23.00), ტაილანდური კრივი. პროფესიონალები (1.45). ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის (08.30), ჩემპიონთა ლიგის (19.00), ინგლისის (20.00, 1.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო თასი (18.00), მარათონი. ლონდონის მარათონი (20.00), ფეხბურთი. თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (23.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), ჩემპიონთა ლიგის (15.00), გერმანიის (15.50), იტალიის (17.55), ესპანეთის (19.55, 1.35), ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი (21.40).

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმერ ხოფერიას მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს თანამშრომელს ლია მჭედლიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

**მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ წარსულში მოჭიდავეს ელგუჯა ბითარიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. მb6! 1. ...მფa5 2. მc4+ მფa4 3. ეb4X. 2. ...მფa6 3. ეb6X.

## კროსვორდი № 30



**თარაზულად:** 1. წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 5. სპორტული მანქანა, 8. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 9. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 10. უეფას ჩინოსანი, 11. ინგლისში მოთამაშე იტალიელი ფეხბურთელი, 15. ხორვატი საფეხბურთო მწვრთნელი, 17. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 19. ბრიტანელი პროფესიონალი მოკრივის ლიუისის სახელი, 20. ნბას-ს ვარსკვლავი, 21. სასახლე პარიზში, სადაც ჩატარდა მუნდიალი-98-ის კენჭისყრა, 22. სამეფო კლუბის ფეხბურთელი, 23. ჩილელი ჩოგბურთელი ვაჟი, 25. მოსკოვის „სპარტაკის“ კამერუნელი ფეხბურთელი, 28. „ლიდსის“ მწვრთნელი, 31. „ფიორენტინას“ პრეზიდენტი, 33. .... ბეარზოტი, 34. რუმინელი ფეხბურთელი, 35. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, 36. წარსულში მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. ინგლისელი მოჭადრაკე ვაჟი; საფეხბურთო კლუბები: 2. საფრანგეთის, 3. თბილისის, 4. პოლონეთის, 5. იტალიის, 14. იუგოსლავიის, 6. ცნობილი ავტოდრომი აპენინის ნახევარკუნძულზე, 7. მოსკოვის თანამეგობრობის საფეხბურთო ტურნირის სპონსორი, 11. „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელი, 12. ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 13. ტერმინი კრივში, 16. ნბა-ს ჩინელი სპორტსმენი, 18. საჩოგბურთო ტურნირი „როლან....“, 23. სპორტის სახეობა, 24. მოლდოველი ფეხბურთელი, 26. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 27. ... მანჯგალაძე, 29. კლუბების გაერთიანება, 30. შეჯიბრი ავტოსპორტში, 32. ბრაზილიელი ფეხბურთელი.

### №29 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ლაზიერი, 5. ბეარზოტი, 8. ლახტი, 10. სიომა, 11. ოინი, 12. ალი, 14. ისინდი, 16. ანანდი, 18. „აია“, 20. აგასი, 22. ჰაკინენი, 23. ანტალია, 25. უჩაძე, 26. „დილა“, 27. სეტი, 28. იპონი, 29. „ანცი“. **შვეულად:** 1. ლანგარა, 2. „ზარია“, 3. ეროსი, 4. იერო, 5. ბელანოვი, 6. ანხელი, 7. იაშინი, 9. „იორი“, 13. „ლივერპული“, 15. დესაი, 17. ნოა, 18. აიალა, 19. „ალავესი“, 21. „გვარდია“, 24. ატაცი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ იმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.